ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## 28 მაისიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

ადამიანები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო

## სტალინი

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




პარასკევი, 29 მაისი, 2015 1123 (6743) აფცბ5 №) სტსჰბ

# „ნაციონალების გაყოფის გეგმა გეგელსმა ბოკერიამ მოიფიქრა“



## „რესპუბლიკელებს ხალხი კაბინეტებიდან თმებით გამოათრევს!“

გვ. 3

ირაკლი ღარიბაშვილს განდევნას უპირებენ

## ზურაბ ჯაფარიძე ირაკლი ღარიბაშვილს შეხვდა?

გვ.3

რიჩარდ ნორლანდმა ყოფილი ნაციონალები დამოძღვრა



## „ქართულ ოცნებას“ ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება გადაარჩენს“

გვ.4

თორნიკე შარაშენიძე: „ნაციონალებისგან წასულ პოლიტიკოსებს დამოუკიდებლად არსებობის შანსი არ აქვთ“



## სოსო მანჯავიძე: „ყოფილი ნაციონალების პოლიტიკური ცენტრი მარგველაშვილი იქნება“



გვ.2

„ნაცმოძრაობა კი არ დაიშალა, გაიშალა“



გვ.5

ISSN 1987-9385

## ნასამართლევ ვეტერანებს 22 ლარსაც არ აძლევენ

„ვეტერანებს ძირითადად დასაქმების პრობლემა და უბინაობა აწუხებთ. ვეტერანთა ბევრი ოჯახი დარჩენილია ღია ცის ქვეშ. ბევრი მათგანი ვაზიანში, ყოფილი სამხედროების დასახლებაში, ამორტიზებულ კორპუსშია თავშეფარებული, რომლის საკუთრებაში გადაცემასაც დღემდე ითხოვენ, მაგრამ სახელმწიფო დუმს“.

## მამუკა კაციტაძე: თბილისის საკრებულოში „ქართულმა ოცნებამ“ ხმების 30% მოიპარა“

როდის შეიცვლება საარჩევნო კანონმდებლობა?

გვ.5



კეჰ]ბ ობსტქბ .დბსტქბ იფდბ

# სოსო მანჯავიძე: ყოფილი ნაციონალების პოლიტიკური ცენტრი მარგველაშვილი იქნება“

თამარ ნინიძე

## „ნაცმოძრაობა კი არ დაიშალა, გაიშალა“

**ნაციონალების რიგებმა შეთხელება დაიწყო. რატომ შეაქციეს ჯაფარიძემ, კუბლაშვილმა, ხაჩიძემ და მელაძემ მშობელ პარტიას ზურგი, ვინ დგას ამ გადაწყვეტილების უკან? – ამ თემებზე ‘ახალ თაობას~ საკრებულოს წევრი სოსო მანჯავიძე ესაუბრება.**

**სოსო მანჯავიძე:**

– ნაცმოძრაობა კი არ დაიშალა, არამედ გაიშალა. 21 მარტს დავწერე სტატუსი, რომ ესენი დაიშლებოდნენ და შეწყვეტდნენ არსებობას ამ ფორმით.

***– ამბობენ, ჯოზეფ ქეიმ განდგომილ ნაციონალებს ფული გადაურიცხაო.***

– არა მგონია, საქმე გვაქვს ძალთა გადაჯგუფებასთან. ლიბერალები და უფრო რადიკალი ნაციონალები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, ერთი კონცეპტუალური ცენტრიდან იმართებიან. ახლა ისინი გადაჯგუფდებიან და შეეცდებიან, ახალი ლიდერშიპი შექმნან, ახალი კონფიგურაცია დაალაგონ და ხელისუფლებაში მოვიდნენ, ხოლო ამათი პოლიტიკური ცენტრი პრეზიდენტი იქნება.

***– მარგველაშვილს გულისხმობთ?***

– დიახ, პრეზიდენტი მარტო ეს გვყავს.

***– გარდა წამოსული ნაციონალებისა, კიდევ ვინ შეიძლება ვიხილოთ ამ ახალ კოალიციაში?***

– ნაციონალური მოძრაობა ორ ნაწილად გაიყოფა – რადიკალური ნაწილი, რომელიც გააგრძელებს ნაცმოძრაობის ძველ რიტორიკას, უფრო გაამძაფრებს მას და მეორე ნაწილი, რომელიც ნაკლებად დისკრედიტებული იქნება და იმავე მიმართულების სხვა ძალებს მიუერთდება.

***– უკვე გამოითქვა ვარაუდი, რომ შესაძლოა, ახალი ორგანიზაცია, „ივერია“, გახდეს მათი ახალი თავშესაფარი. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?***

– ესეც შესაძლებელია.

***– ვანო მერაბიშვილის აჩრდილიც ტრიალებს ამ განდგომილი წევრების გარშემო. რატომ?***

– მიუხედავად იმისა, რომ ვანო ციხეშია, ის თავის გავლენებს არ კარგავს.

***– მერაბიშვილი რადიკალებთან დარჩება თუ ლიბერალებს აირჩევს?***

– ვერ წარმომიდგენია, მერაბიშვილი, როგორც პოლიტიკური ფიგურა, სადმე აღმოჩნდეს. ის, უბრალოდ, ფინანსებითა და კონტაქტებით, ასევე სხვა ინფორმაციებით, რომლებიც ჯერ კიდევ აქვს შემორჩენილი, ორივე ძალასთან იქნება, ამ ორ ძალას შორის დაპირისპირება არ იქნება.

***– არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ვარაუდი, რომ სააკაშვილისგან გამიჯვნა სურს ნაცმოძრაობის ერთ ნაწილს და კამათი ამას მოჰყვა.***

– ცხადია, ერთ ნაწილს უთუოდ სურს, გაემიჯნოს სააკაშვილს, დისტანცირება სურთ უშუალოდ სააკაშვილისგან, პოლიტიკური არსებობა უნდათ გაიხანგრძლივონ სააკაშვილის გარეშე არსებულ პოლიტიკურ რეალობაში.

***– ბოკერიას არ უნდა, გაიხანგრძლივოს პოლიტიკური არსებობა? რატომ არ ქმნის საკუთარ პარტიას?***

– კულუარებიდან მართვას არის დაჩვეული და ოსტატურად აკეთებს ამას, პროექტებს წერს და ამ პროექტებს ასრულებენ ნაციონალები. პოლიტიკური კავშირებით უცხოეთთან დაკავებული არიან ბოკერია და რამიშვილი, ფინანსური ნაკადების მართვითა და კონცეპტუალური მართვით. ბოკერია გაცილებით მაღალი რანგის ფიგურაა ნაცმოძრაობაში.

***– წასულებიდან ზურაბ ჯაფარიძე და კუბლაშვილი რანგით უფრო მაღალი კლასის ნაციონალები იყვნენ. პასუხისმგებლობაც მათ მეტი ჰქონდათ. გარდა ამისა, ეს ორი პოლიტიკოსი ნაცმოძრაობის იდეოლოგიასთან ასოცირდებოდა. მაინც რატომ წავიდნენ?***

– მხოლოდ მკითხაობა შეგვიძლია, რატომ მიიღეს ეს გადაწყვეტილება. 21 მარტის აქციამ ნათლად აჩვენა, რომ ნაციონალურ მოძრაობას არ შეუძლია ხალხის დიდი მასების მობილიზაცია. 21 მარტის აქციასთან დაკავშირებით არის კიდევ ერთი ინფორმაცია – ხალხის რაოდენობა გაცილებით უფრო შთამბეჭდავი რომ ყოფილიყო, გამოყოფილი იყო თანხები და ეს თანხები გაქრა. სერიოზული დაპირისპირება იყო ამ თანხებთან დაკავშირებით. შეიძლება, მიზეზი ეს იყოს, აგრეთვე, შეიძლება, წინასწარ შეთანხმებული მოქმედებებია. ხომ გახსოვთ „ჯერ დაიხოცნენ და მერე იქორწინეს“, ამ ვექტორის პარტიების ერთიანი ფრონტი იქმნება, სინამდვილეში ერთი ცენტრი მართავთ.

***– ნაციონალების რღვევის პროცესი გაგრძელდება?***

– ცხადია. ერთი ნაწილი ახალ პოლიტიკურ კონფიგურაციაში ეცდება მოხვდეს, დარჩება მცირე, მაგრამ რადიკალური ნაწილი.

***– ამ ოთხი წევრის პოლიტიკური მომავალია საინტერესო, დამოუკიდებლად ვერ იმოქმედებენ. გვეულებათ რომელიმე ძალა, რომელსაც მათთან ერთად ყოფნა მოუნდება?***

– ხომ გახსოვთ, თავისუფალმა დემოკრატებმა არ გამორიცხეს მათთან თანამშრომლობა, ან „ივერიაში“ შევლენ, ან ალასანიას პარტიაში.

***– თქვენ აღნიშნეთ, რომ ნაცმოძრაობა კი არ დაიშალა, არამედ გაიშალა. ხელისუფლებისა და „ქართული ოცნებისთვის“ ეს პროცესი სახიფათო ხომ არ არის?***

– რესპუბლიკური პარტია აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაში მოწინავე პოზიციაზეა, საპრეზიდენტო ხელისუფლება, სასამართლო ხელისუფლება, არასამთავრობო სექტორი, ელექტრონული მედია და სახალხო დამცველი მთლიანად კონტროლდება იმავე რესპუბლიკელების მიერ. ის, რაც ახლა ნაცმოძრაობაში მიმდინარეობს, აუცილებლად ახალი არჩევნების კონტექსტში უნდა განვიხილოთ. პროცესი იქით მიჰყავთ, რომ ახალ პარლამენტში მთლიანად ზემოთ ჩამოთვლილი ძალები იყვნენ წარმოდგენილი.

***– ალბათ, ამის გაგრძელებაა ზურაბ ჯაფარიძის მიერ გავრცელებული განცხადება, რომ მათ ეს გადაწყვეტილება მიიღეს მხოლოდ იმის გამო, რომ ახალ პარლამენტში პრორუსული ძალების მოსვლის საშიშროება დაინახეს.***

– დიახ, ამათ სურთ, მთელი პოლიტიკური სივრცე დაიკავონ, თითქოს ერთმანეთს უპირისპირდებიან, ერთმანეთთან ცხარე დებატები აქვთ. ამოცანაა, რომ დააკომპლექტონ ე.წ. პროდასავლური და ნეოლიბერალური გაერთიანება.

***– როგორ გესახებათ „ქართული ოცნების“ როლი და ფუნქცია ამ კონფიგურაციის პირობებში?***

– „ქართული ოცნება“ იმავე მდგომარეობაში იქნება, რაშიც ახლაა, ვითომ არის ხელისუფლებაში. სინამდვილეში, ეს ფორმალური ყოფნაა, რეალურად კი ხელისუფლებაში დიდი ხანია არიან ის ძალები, რომლებიც მე ჩამოვთვალე – რესპუბლიკელები და მათი მოკავშირეები.

***– საუბარია იმაზე, რომ შეიძლება ივანიშვილი დაბრუნდეს პოლიტიკაში. თქვენ როგორ შეხვდებოდით ამ გადაწყვეტილებას?***

– რომ დაბრუნდეს, რით დაბრუნდება? დაბრუნება და წასვლა კი არ არის საქმე, არამედ ის, რაც შეიძლება მოჰყვეს ამ დაბრუნებასა და წასვლას.

***– იმედგაცრუებული ხომ არ ხართ ივანიშვილით, რესპუბლიკელები აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაში ასეთ მაღალ პოზიციებზე რომ დააყენა?***

– არაერთხელ გამოვხატე ჩემი იმედგაცრუება. პიროვნულად კი არ ვერჩი ვინმეს, მე ვიცი, რას მოუტანს ქვეყანას მათი ხელისუფლებაში ყოფნა. ასე არ უნდა ხდებოდეს, ჩვენ ვკარგავთ ყოველგვარ შანსს, სახელმწიფოდ ჩამოვყალიბდეთ.

***– როცა ჯაფარიძე და მისი თანამოაზრეები პრორუსულ ძალებზე საუბრობენ, ვის გულისხმობენ?***

– პრორუსული ძალები საქართველოში არ არსებობენ, მედიაშიც არ არიან წარმოდგენილი. რუსეთი არ ცდილობს აქ სერიოზული პოლიტიკური ძალის შექმნას. მას მიაჩნია, რომ პრობლემას სამხედრო-პოლიტიკური საშუალებებით გადაწყვეტს, რაც ჩვენთვის საფრთხის შემცველია.



**ნაციონალების 21 მარტის აქციასთან დაკავშირებით არის კიდევ ერთი ინფორმაცია – ხალხის რაოდენობა გაცილებით უფრო შთამბეჭდავი რომ ყოფილიყო, გამოყოფილი იყო თანხები და ეს თანხები გაქრა**

## ლონდონში საქართველოს უძრავი ქონების ფორუმი გაიმართება

ინგლისის დედაქალაქ ლონდონში, უესტმინსტერის სასახლეში (დიდი ბრიტანეთის პარლამენტი) დღეს, 29 მაისს საქართველოს უძრავი ქონების ფორუმი ჩატარდება.

ფორუმი საქართველოში უძრავი ქონებისა და სასტუმროების ბიზნესში საინვესტიციო შესაძლებლობების წარმოსაჩენად, საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსა და უძრავი ქონების კომერციული საკონსულტაციო კომპანიის ორგანიზებით იმართება.

ბიზნეს-ღონისძიებაში მონაწილეობას, როგორც ამ სექტორში მოღვაწე წამყვანი ქართული, ისე ბრიტანული და საერთაშორისო უძრავი ქონების დეველოპერული კომპანიები, კერძო კაპიტალის საინვესტიციო ფონდები და საქართველოთი დაინტერესებული მაღალი რანგის ოფიციალური პირები მიიღებენ.

ღონისძიების მხარდამჭერები საქართველოს საელჩო დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში და საქართველოში დიდი ბრიტანეთის საელჩო არიან.

ღონისძიების დასკვნით ნაწილში დაგეგმილია მიღების გამართვა, რომელსაც საპატიო სტუმრის სტატუსით ბრიტანეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი ქეთი მელუაც დაესწრება.

ნიუსპრესი

## ზუგდიდში დისტრიბუტორმა ძარცვის ინსცენირება მოაწყო

ზუგდიდის ცენტრში დისტრიბუტორმა კახა ბუკიამ ძარცვის ინსცენირება თავად მოაწყო და სამართალდამცველები შეცდომაში შეიყვანა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მან ჩვენებაში დააფიქსირა, რომ სამსახურის თანხა პირადი საჭიროებებისათვის მიითვისა და შემდეგ ძარცვის ინსცენირება მოაწყო.

„რუსთავი 2“-ის ცნობით, პროკურატურა საქმეს გადააკვალიფიცირებს და საქმე ცრუ დასმენისა და თანხის უკანონო მითვისების ფაქტზე აღიძრება.

კახა ბუკია ერთ-ერთი ფირმის დისტრიბუტორი იყო და ფული სხვადასხვა მაღაზიიდან ჰქონდა გამოტანილი. არსებული ინფომაციით, მან 4 ათას ლარამდე თანხა მიითვისა.

„დაზარალებული“ თავიდან აცხადებდა, რომ მას თავს 3 უცნობი პირი დაესხა, თავში ჩაარტყეს, თანხა კი გაიტაცეს.

ნიუსპრესი

## წყნეთში სმარტისა“ და დანკინ დონატსის“ რესტორანი გაიხსნა

„ვისოლ ჯგუფმა“ წყნეთში სუპერმარკეტ „სმარტის“ და „დანკინ დონატსის“ პირველ რესტორანი გახსნა.

28 მაისიდან 8 ივნისამდე, ადგილობრივ მომხმარებელს „სმარტში“ ყველა პროდუქტზე 10%-იანი ფასდაკლება ელის. „დანკინ დონატსის“ პირველი ასი მომხმარებელი კი უფასო დონატს მიიღებს.

„ვისოლ ჯგუფის“ ახალ ობიექტებზე 70-მდე ადგილობრივი მოსახლე დასაქმდა.

„ვისოლ ჯგუფის“ ინფორმაციით, წყნეთში „სმარტისა“ და „დანკინ დონატსის“ ობიექტები თავისი ერგონომიკით გამოირჩევა.

– მომსახურების ხარისხის სრულყოფისათვის „სმარტი“ წყნეთში 24 საათი იმუშავებს და ერთ სივრცეში განთავსებული სუპერმარკეტი პირველადი მოხმარების პროდუქტებით, მზა კერძებით, ყოველდღიურად ახალი ხორცით, პურფუნთუშეულით, საკონდიტრო ნაწარმითა და ექსკლუზიური ევროპული პროდუქტებით, „დანკინ დონატსის“ ყავის პროდუქტებთან, ყოველდღიურად ახალი ინგრედიენტების გამოყენებით დამზადებულ და განსაკუთრებული გემოვნური თვისებებით გამორჩეულ სენდვიჩებთან და 28 სახეობის დონატებთან ერთად, მომხმარებელს ახალ ობიექტზე სტუმრობას სასიამოვნო გამოცდილებად უქცევს, – აცხადებს „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტი სოსო ფხაკაძე.

წყნეთის „დანკინ დონატსის“ რესტორანში ასევე განთავსდა „ვენდის“ კიდევ ერთი რესტორანი, სადაც სხვადასხვა არომატისა და ინგრედიენტების გამოყენებით შექმნილი 25-ზე მეტი სახეობის ნაყინი, შეიკები და ნაყინზე დამზადებული პროდუქტებია წარმოდგენილი.

„ვისოლ ჯგუფმა“ „სმარტის“ ქსელის განვითარება 2010 წელს დაიწყო. „სმარტის“ სუპერმარკეტები დღესდღეობით წარმატებით ფუნქციონირებს თბილისში, აღმაშენებლის ხეივნის მე-13 კილომეტრზე, რუსთაველის გამზირზე, ვაკეში, საბურთალოზე, ვაზისუბნის მეორე მიკრორაიონში, კახეთის გზატკეცილზე, ბათუმში, გუდაურში, ზუგდიდში, მარნეულში, ახალციხეში, გორში, ყვარელსა და ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გორის მონაკვეთზე.

„ვისოლ ჯგუფმა“ ამერიკული რესტორნების უმსხვილეს ოპერატორთან „დანკინ დონატსთან“ ფრანჩაიზინგის ექსკლუზიურ ხელშეკრულებას ხელი 2014 წელს მოაწერა.

წყნეთის ობიექტი „დანკინ დონატსის“ უკვე მეხუთე რესტორანია, რომელიც მოკლე დროში ყველასათვის საყვარელ თავშეყრის ადგილად იქცა.

„ვისოლ ჯგუფი“ 2015 წლის ბოლომდე საქართველოში 15 „დანკინ დონატსის“ რესტორანს გახსნის და კიდევ 500-მდე ადამიანს დაასაქმებს.

წყნეთში „სმარტისა“ და „დანკინ დონატსის“ ოფიციალურ გახსნას თბილისის მერი დავით ნარმანია დაესწრო.

ნიუსპრესი

## სამართალდამცავებმა ბექან გუნავა დააკავეს

სამართალდამცავებმა „თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ბექან გუნავა „სითი პარკის“ ოფისთან დააკავეს.

გუნავა „სითი პარკის“ ოფისთან კომპანიის საქმიანობას აპროტესტებდა.

ის მაშინ დააკავეს, როდესაც საევაკუაციო მანქანებს ტერიტორიაზე შესვლის უფლებას არ აძლევდა და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟებს მოუწოდებდა, კომპანიის საევაკუაციო მანქანების საბუთები შეემოწმებინათ.

ნიუსპრესი



ახალი თაობა

www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ელიზბარ ჯაველიძე: ნაციონალების გაყოფის გეგმა გებელსმა ბოკერიამ მოიფიქრა“

## „რესპუბლიკელებს ხალხი კაბინეტებიდან თმებით გამოათრევს!“

### ირაკლი ღარიბაშვილს განდევნას უპირებენ

შორენა მარსაგიშვილი

**ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე „ახალ თაობას“ აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე ესაუბრება.**

***— ბატონო ელიზბარ, დღეს ყველა ნაციონალებიდან 4 კაცის წამოსვლაზე საუბრობს. დასახელდა სხვადასხვა ვერსია. თქვენ რას უკავშირებთ ოთხეულის ნაბიჯს?***

— ეს არის აფერისტობა და დადგმული სპექტაკლი. მართლაც მთელი საქართველო ამ 4 კაცზე საუბრობს. ეგენიც შესანიშნავი ოთხეული არ მყავდნენ! ნაციონალურ მოძრაობაში არავითარი განხეთქილება არ არის. იქიდან ხალხის წამოსვლის გეგმა გიგა ბოკერიამ შეიმუშავა.

***— რატომ მაინცდამაინც გიგა ბოკერიამ?***

— ეგ არის მაგათი გებელსი და ეგ წერს ასეთ გეგმებს.

***— მიზანი რა არის?***

— ნაციონალები ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ემზადებიან. საამისოდ ყველა მეთოდსა და ხერხს გამოიყენებენ. ეს ოთხეული ვითომ გაემიჯნა ნაცმოძრაობას, სინამდვილეში ისევ მათგან იმართებიან და მათ დავალებებს შეასრულებენ, დაფინანსებასაც მათგან მიიღებენ. ეს ყველაფერი ხალხის თვალის ასახვევად გაკეთდა. არ გამოვრიცხავ, რომ ნაციონალებიდან სხვებიც „წამოვიდნენ“.

მათ ჰგონიათ, რომ ხალხს მოკლე მეხსიერება აქვს და ამათ ეშმაკობებს ვერ ხვდებიან. თავის დროზე რესპუბლიკელებიც გაემიჯნნენ ნაციონალებს, მაგრამ დღეს მათ საქმეს აკეთებენ.

***— კონკრეტულად რა საქმეს აკეთებენ?***

— ნაციონალური მოძრაობა რომ ამ ფორმით არსებობს, ეს მათი დამსახურებაა.

***— რანაირად?***

— პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი გამოვიდა და სიამაყით გვამცნო, რომ თურმე ნაცმოძრაობის გადარჩენა ქართველი საზოგადოების მთავარ მიზანს წარმოადგენს. საქართველოს მოსახლეობამ „ქართული ოცნება“ მხოლოდ იმიტომ აირჩია, რომ ნაციონალები პოლიტიკურ სამარეში გაეშვათ. ეს რესპუბლიკელები კი მათი გადარჩენის აუცილებლობაზე გვესაუბრებიან. ეგენი თუ ჭკვიანად არ იქნებიან, ხალხი მათ კაბინეტებიდან სულ თმებით გამოათრევს. მერე რიჩარდ ნორლანდის მხარდაჭერა ვეღარ უშველით.

***— აშშ-ის ელჩი რესპუბლიკელებს უჭერს მხარს?***

— რესპუბლიკელებს, ალასანიას ხალხსა და ნაციონალებს მფარველობს. ნორლანდი ჩვენს საშინაო საქმეებში უხეშად ერევა. ადრეც ვთქვი და გავიმეორებ, ეგ კაცი ცეკას ინსტრუქტორივით არის და მის გარეშე არაფერი წყდება. თინა ხიდაშელიც მაგან დაგვისვა თავდაცვის მინისტრად, რითიც ქართველ ხალხს დიდი შეურაცხყოფა მიაყენა.

***— ხიდაშელის გამინისტრების გამო ძალიან გაცხარებული ხართ.***

— გაცხარებული როგორ არ უნდა ვიყო, როცა ვხედავ, როგორ ანგრევენ ქვეყანას. ხიდაშელი ის ქალია, რომელიც აცხადებდა, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილი არ არის. ცოტა ხნის წინ კი დაწერა, რომ საქართველო ქაჯებით არის სავსე და ბედნიერია, მისი შვილები აქ რომ არ არიან. ასეთ თავდაცვის მინისტრს არც ერთი თავმოყვარე ქვეყანა არ აიტანდა.

რამდენიმე დღის წინ ის ავღანეთში იმყოფებოდა. ამ კადრებს მთელმა საქართველომ უყურა. ყველამ ვნახეთ, როგორ გატიკნულ თოჯინასავით დადიოდა. თავდაცვის მინისტრობა რომ შეიფერა, რამე რომ იყოს, იარაღში ტყვიების ჩადებას მოახერხებს? ამას ვერ გააკეთებს, სამაგიეროდ, ამერიკის მითითებებს შეასრულებს.

ამერიკის დავალებების შესრულების გამო დავუპირისპირდი მე თავის დროზე მიხეილ სააკაშვილს, რომელიც ჩემი ახლო ნათესავია. ამას არც ამათგან ავიტან. ხალხის განწყობაც ასეთია და ტყუილად ცდილობენ ღარიბაშვილის განდევნას, არაფერი გამოუვათ.

***— რესპუბლიკელები ცდილობენ ღარიბაშვილის განდევნას?***

— მარტო ეგენი არა. ადრე მივმართე ირაკლი ღარიბაშვილს და ვურჩიე, რომ თუ ის რესპუბლიკელებს დროულად არ გადაყრიდა ნავიდან, ისინი მას გადააგდებდნენ. ახლა სწორედ ეს პროცესი დაიწყო. ათასი შინაური და გარეული ცდილობს მის ჩამოშორებას ხელისუფლებიდან.

***— რატომ არის მათთვის ირაკლი ღარიბაშვილი მიუღებელი?***

— იმიტომ, რომ ამ ადამიანს ქართულად უძგერს გული. მას სამართლიანობის აღდგენა და ნაციონალების დასჯა სურს. ის ერთადერთია მთავრობაში, რომელიც ღიად ეწინააღმდეგება საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას. ამიტომაც ებრძვიან მას.

**ნორლანდი ჩვენს საშინაო საქმეებში უხეშად ერევა. ადრეც ვთქვი და გავიმეორებ, ეგ კაცი ცეკას ინსტრუქტორივით არის და მის გარეშე არაფერი წყდება. თინა ხიდაშელიც მაგან დაგვისვა თავდაცვის მინისტრად, რითიც ქართველ ხალხს დიდი შეურაცხყოფა მიაყენა**

**ლევან ბერძენიშვილი სუკის აგენტია, თან ისეთი თავხედი აგენტი, რომ სხვებს აბრალებს ამას. ის გაუნათლებელია, დაწერა რაღაც 60-გვერდიანი სამეცნიერო ნაშრომი და აიკლო ქვეყანა. რაც მთავარია, ის ანტიქართულად არის განწყობილი**




ვაფრთხილებ ყველას, არც კი გაბედონ ღარიბაშვილისთვის რამის მოწყობა. ხალხის რისხვას ვერავინ გადაურჩება!

***— ბიძინა ივანიშვილი რას ფიქრობს ამასთან დაკავშირებით?***

— პრემიერად ირაკლი ღარიბაშვილი მან დაასახელა და, შესაბამისად, ენდობა კიდეც. კადრების შერჩევისას ივანიშვილმაც ბევრი შეცდომა დაუშვა, შეცდა მარგველაშვილთან დაკავშირებითაც. არადა, როგორ ვაფრთხილებდი, რომ ამ კაცის პრეზიდენტობა არ შეიძლებოდა. ამას ახლა თავადაც აღიარებს, მაგრამ გვიანია. მჯერა, რომ მას მართლაც უნდა ქვეყნის გადარჩენა. ასე რომ არ ყოფილიყო, წლების განმავლობაში ამ ქვეყანაში ამდენ რამეს არ გააკეთებდა. პრემიერად რომ დარჩენილიყო, კარგი იქნებოდა, მაგრამ ამის უფლება არ მისცეს.

***— ვინ არ მისცა ამის უფლება?***

— ვინ და დასავლეთმა. დაემუქრნენ, რომ სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდნენ.

***— რა პრობლემებს?***

— გაუყინავდნენ ანგარიშებს და ა.შ. ამიტომაც გადგა ეს ადამიანი გვერდზე და პოლიტიკაში აღარ ერევა.

***— ექსპერტების უმეტესობა ამტკიცებს, რომ პროცესებს დღემდე ის მართავს, ოღონდ — კულუარებიდან.***

— მაგ ექსპერტებმა საკუთარ თავს მიხედონ, წარმოადგინონ ფაქტები და ისე ილაპარაკონ. რაც აშკარაა, იმაზე ხმას არ იღებენ და ათას ტყუილს იგონებენ. რიჩარდ ნორლანდი ჩვენს საქმეებში რომ ერევა, ამაზე ხმა რატომ არავინ ამოიღო? ნორლანდის ჭკუაზე სიარული შეიძლება და ივანიშვილმა ვინმეს რამე რომ ურჩიოს, არა?! დარწმუნებული ვარ, მისი რჩევები საქმიანი იქნება. ახლა იმას ცდილობენ, ამ ადამიანს „ქართული ოცნების“ წევრებთან კონტაქტიც კი აუკრძალონ. დასავლეთი ყველანაირად შეეცდება მის განეიტრალებას.

***— უკვე რამდენჯერმე აღნიშნეთ, დასავლეთი ივანიშვილს გასაქანს არ აძლევსო. 2012 წელს იმავე დასავლეთმა მნიშვნელოვნად განაპირობა, რომ არჩევნები არ გაყალბდა და ხელისუფლება მშვიდობიანად შეიცვალა.***

— ცვლილება მართლაც მშვიდობიანად მოხდა, თუმცა ვერ დაგეთანხმებით, რომ არჩევნები არ გაყალბებულა. პროცესი სამართლიანად რომ წასულიყო, ნაციონალური მოძრაობა 10%-საც ვერ აიღებდა.

**პრემიერად ღარიბაშვილი ივანიშვილმა დაასახელა და, შესაბამისად, ენდობა კიდეც. კადრების შერჩევისას ივანიშვილმაც ბევრი შეცდომა დაუშვა, შეცდა მარგველაშვილთან დაკავშირებითაც. არადა, როგორ ვაფრთხილებდი, რომ ამ კაცის პრეზიდენტობა არ შეიძლებოდა. ამას ახლა თავადაც აღიარებს, მაგრამ გვიანია**

რაც შეეხება დასავლეთის მაშინდელ პოზიციას, ისინი დათმობაზე იმიტომ წავიდნენ, რომ ნაციონალები გადაერჩინათ, თორემ ივანიშვილი არც მაშინ ეხატებოდათ გულზე. იმ არჩევნებზე გამარჯვებულად ნაციონალები რომ გამოსულიყვნენ, აქ რევოლუცია მოხდებოდა. ამ პარტიას თავიდან ბოლომდე ამოძირკვავდნენ. „ქართული ოცნების“ გამარჯვებამ ხალხის რისხვა შეანელა. ეს დასავლეთს წინასწარ ჰქონდა გათვლილი. მეოცნებეები კი გვპირდებოდნენ სამართლიანობის აღდგენას, მაგრამ დასავლეთმა თავს კოაბიტაცია მოგვახვია. ამას რესპუბლიკელები და ალასანიაც დაემატნენ.

გამოდის ახლა ეს პაატა ზაქარეიშვილი და გაიძახის, აღორძინება, მოქკავშირი დაიშალა, ჩვენ კი დავრჩითო. არ ჯობდა, ეგენი დაშლილიყვნენ და ყველა სხვა დარჩენილიყო? ყველა პარტია მაგათზე უკეთესია.

***— თქვენ ძალიან არ მოგწონთ რესპუბლიკელები, მაგრამ მთავრობაში, შესაძლოა, კიდევ ერთი რესპუბლიკელი იხილოთ.***

— ზაქარეიშვილი, ხიდაშელი და აგულაშვილი არ გვეყოფოდა? ეს უკანასკნელი ვითომ ისეთი რესპუბლიკელი არ არის, მაგათი სიძეა, მაგრამ ანტიქართული საქმეების კეთებაში ეგეც არის შემჩნეული.

***— აგულაშვილი რაში შეამჩნიეთ?***

— პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარეობისას მან შეიმუშავა კანონი მიწის გაყიდვის შესახებ. ახლა გარემოს დაცვა ჩააბარეს. გავრცელებული ინფორმაციით, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტსაც ითხოვენ რესპუბლიკელები. ამ პოსტისთვის ლევან ბერძენიშვილს და ივლიანე ხაინდრავას ამზადებენ. ხაინდრავაზე არაფერს ვამბობ, მაგრამ ბერძენიშვილი დაღუპავს ქვეყანას.

***— რატომ დაღუპავს ბერძენიშვილი ქვეყანას?***

— პირველ რიგში იმიტომ, რომ სუკის აგენტია, თან ისეთი თავხედი აგენტი, რომ სხვებს აბრალებს ამას. ის გაუნათლებელია.

***— ლევან ბერძენიშვილია გაუნათლებელი?***

— გაუნათლებელია! დაწერა რაღაც 60-გვერდიანი სამეცნიერო ნაშრომი და აიკლო ქვეყანა. რაც მთავარია, ის ანტიქართულად არის განწყობილი. თანამოაზრეებთან ერთად ცდილობს, საქართველოში სულიერება მოსპოს. სულიერება თუ არ იქნა, მაშინ აღარც ერი იქნება და აღარც — ბერი. საგარეო საქმეთა მინისტრად მისი დანიშვნა საქართველოს დაღუპავს.

***— ივლიანე ხაინდრავაზე რას იტყვით, ის თუ დაინიშნება, რა მოხდება?***

— მასთან სერიოზულად ვარ დაპირისპირებული. ამის მიუხედავად, ივლიანეს დიდ პატივს ვცემ. სხვა თუ არაფერი, ეროვნულად აზროვნებს.

შორენა მარსაგიშვილი

# ზურაბ ჯაფარიძე ირაკლი ღარიბაშვილს შეხვდა?

### რიჩარდ ნორლანდმა ყოფილი ნაციონალები დამოძღვრა

**ნაციონალებისგან განდგომილი ოთხეული კვლავ ყურადღების ცენტრშია. მათი ამბით საქართველოში ამერიკის ელჩიც კი დაინტერესდა. საზოგადოებას ამისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია, რადგან მიჩვეულია, რომ ნორლანდს საქართველოში ყველაფერი აინტერესებს.**

აჟიოტაჟი ზურაბ ჯაფარიძესთან დაკავშირებით გავრცელებულ მეორე ინფორმაციას მოჰყვა. ქვეყანაში ხმა გავარდა, ჯაფარიძეს საქართველოს პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი შეხვდაო.

ამ ინფორმაციის გავრცელებას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ერი არც



მაშინ დაწყნარდა, როცა გაირკვა, რომ ეს შეხვედრა არ შემდგარა, ყოველ შემთხვევაში, თავად ჯაფარიძე ამ შეხვედრას უარყოფს.

ნაციონალებისგან განდგომილთან შეხვედრას საქართველოს მთავრობის მეთაურიც არ ადასტურებს.

ამ უარყოფის ბევრს არ სჯერა. ნაციონალურ მოძრაობაში დარჩენილები ამტკიცებენ, რომ წასულები „ქართული ოცნების“ დაკვეთას შეასრულებენ.

აჟიტირებულების დასამშვიდებლად ზურაბ ჯაფარიძის ამჟამინდელმა თანამებრძოლმა „ფეისბუქით“ საგანგებო პოსტი გამოაქვეყნა.

— პეტრიაშვილზე მოვედი ამ წუთას. სადარბაზოს შემოსასვლელში „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი დამხვდა ჩართული კამერით და კითხვით — ჩვენი ინფორმაციით, ამ წუთებში ზურა ჯაფარიძე ხვდება ირაკლი ღარიბაშვილს. ვუთხარი, რომ არა, ტყუილია, არც შეხვედრია და არც ამ წუთებში ხვდება. ამის შემდეგ შევედი ოფისში, სადაც ჯაფარიძე დამხვდა და თვითონ გასცა პასუხი ჟურნალისტს, ხვდებოდა თუ არა ამ წუთებში ღარი-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი
[illegible]
☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ქართულ ოცნებას“ ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება გადაარჩენს“

## თორნიკე შარაშენიძე: „ნაციონალებისგან წასულ პოლიტიკოსებს დამოუკიდებლად არსებობის შანსი არ აქვთ“

ნონა ცაბაძე

**რა პროცესები მიმდინარეობს სახელისუფლებო გუნდში, დგას თუ არა „ოცნება“ დაშლის პირას, რამ განაპირობა განხეთქილება ნაციონალურ მოძრაობაში? – „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.**



***— ბატონო თორნიკე, რა ხდება სახელისუფლებო გუნდში? ამბობენ, რომ სერიოზულ დაპირისპირებას აქვს ადგილი.***

— დღეს „ოცნებაში“ გაცილებით დიდი დაპირისპირებაა, ვიდრე ნაციონალურ მოძრაობაში, თუმცა „ოცნებას“ მეტი რესურსი აქვს, ხელისუფლებაშია, ამიტომაც რაღაც-რაღაცებს ყლაპავენ. ნაციონალები ხელისუფლებაში აღარ არიან, ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ უფრო შეკრული გუნდია, დაპირისპირება გაჩნდა, იმიტომ რომ საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში არიან, უარესში, ვიდრე აქამდე იყვნენ. სწორედ ამან გააჩინა მათ შორის კონფლიქტი, თორემ, ხელისუფლებაში რომ ყოფილიყვნენ, მსგავსი რაღაცები ნაკლებად მოხდებოდა.

***— მძიმე მდგომარეობაში რას გულისხმობთ?***

— ნაკლები რესურსი, დევნა, არ გამოვრიცხავ ზეწოლას. ძალიან გამაოცებს, ვინმემ რომ მითხრას, ეს ხელისუფლება ზეწოლას არ ეწევაო. ამის მაგალითი ბევრი გვაქვს, იმავე მარიკა ვერულაშვილისა და კიდევ ვიღაცების გადაბირების. ყოველივე ამას, ერთად აღებულს, ბევრი ვერ უძლებს.

***— მიგაჩნიათ, რომ ზეწოლას ვერ გაუძლეს და ამიტომ წავიდნენ?***

— შიგნით რა მოხდა, ეგ დეტალები ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ, ზეწოლას რომ განიცდიან, ეს გასაგებია. მეორე მომენტიც არის — ზეწოლის შედეგად თუ ვინმე უნდა წასულიყო, ის თავიდანვე წავიდა. აქ სხვა მიზეზი უნდა ვეძებოთ, რომელიც ჯერ მართლა არ ვიცი.

***— რას იტყოდით გავრცელებულ ხმებზე მათ ფინანსურ დაინტერესებასთან დაკავშირებით?***

— ფინანსების გარეშე პოლიტიკაში ვერ იქნები. ფინანსებს ვიღაც შეჰპირდა ნამდვილად. მე მგონი, მათი მთავარი მოტივაცია არის ის, რომ წაიღონ ხმების ის 40%, რომელიც გაურკვეველია. მათ დაინახეს, რომ რაც არ უნდა კატასტროფულად დაეცეს „ოცნების“ რეიტინგი, ნაცმოძრაობის რეიტინგი თითქმის არ იწევს ამის ხარჯზე. ეს ტენდენცია რომ დაინახეს, ჩათვალეს, რომ მათ შანსი აქვთ, დაიწყონ მუშაობა იმ 40%-ზე.

***— ისიც ითქვა, რომ ივანიშვილის ინტერესებში შედის ამ ახალი ძალის შექმნა.***

— ივანიშვილის ინტერესებში ნაცმოძრაობის დაშლაა. უფრო მეტი პრობლემა ის არის, ეს ოთხი კაცი რამდენად შეძლებს დამოუკიდებლად არსებობას. უფრო ძლიერები ისინი იყვნენ ნაცმოძრაობასთან ერთად. ცალკე დიდ ძალას არ წარმოადგენენ.

***— მაშინ მოსალოდნელია, რომ ვინმეს შეიერთებენ?***

— სხვანაირად ვერ წარმომიდგენია, რომ ოთხმა კაცმა რაიმე დიდ წარმატებას მიაღწიოს.

***— რას ფიქრობთ იმ მოსაზრებაზე, რომ მათ პარლამენტში სურთ კონფიგურაციის შეცვლა?***

— გასაგებია, რომ პარლამენტში ისინი ხმას მაინც „ოცნების“ წინააღმდეგ მისცემენ. „ოცნებას“ ამით არც არაფერი დააკლდება და არც მიემატება. უბრალოდ, ნაცმოძრაობას დააკლდა რამდენიმე სახე, თუმცა მათი წამოსვლა ნაცმოძრაობას რეალურად ვერაფერს დააკლებს.

***— დაშლა არ ემუქრება ფრაქციას? კიდევ ხომ არ გადაიბირებენ ვინმეს?***

— ამის მცდელობა აშკარად იყო,

> **როგორ შეიძლება, ყველაფერი გარე ფაქტორებს დააბრალო, მაშინ როცა მსოფლიო ბაზარზე ნავთობი გაიაფებულია, დოლარი, ასე თუ ისე, აღარ გარბის, რატომ უნდა იყოს ბენზინი მაინც ძვირი!**

მაგრამ, როგორც ჩანს, ჩავარდა. ეს უკვე გამოჩნდა.

***— რამდენად მომგებიანი იქნება ალასანიასთვის მათთან ალიანსი?***

— ამათთან, ალბათ, იფიქრებს, თუმცა ალასანიას პარტიასთანაც უამრავი კითხვა მაქვს.

***— რასთან დაკავშირებით?***

— თითქმის არ აქვს პარტიული ინფრასტრუქტურა, როგორც პარტია, ინსტიტუციურად ძალიან სუსტია, ჰყავთ სულ რამდენიმე სახე, ეგ არის და ეგ. მათ უკან არ დგანან ძლიერი გუნდები, ძლიერი სპეციალისტები. ახლა ამბობენ, რომ მუშაობა დაიწყეს ამ მხრივ. ჯერჯერობით რაიმე შედეგს ვერ ვხედავ.

***— ხელისუფლების რეიტინგი კატასტროფულად ეცემა. ახლოვდება 2016 წელი. მოახერხებს „ოცნება“, რეალურად რამე შეცვალოს დარჩენილ დროში?***

— არა მგონია. გუნდი იგივეა, სტილი იგივეა და რა სასწაული უნდა მოახდინონ, მე არ ვიცი. შეცდომების აღიარება მათ არ უნდათ და მიჭირს იმის თქმა, რომ რაღაც შეიძლება შეცვალონ.

***— ხელახალი გადახალისება იგეგმება შემოდგომაზეო...***

— საიდან უნდა მოიყვანონ კადრები, არ მესმის. რაც არის, ეს არის, ახალს ვის შემოგვთავაზებენ?

***— რესპუბლიკელების დაწონაურება იმიჯს გამოუსწორებთო და ასეა? რას შეძლებენ ასეთს რესპუბლიკელები?***

— თინა ხიდაშელი ლარს ვერ გაამყარებს, ეს მისი საქმე არ არის და მოსახლეობას ეგ აინტერესებს პირველ რიგში. ამას ვერაფერს მოუხერხებენ. ორი პრობლემაა მმართველობაში.

***— რას გულისხმობთ?***

— მმართველობის სტილი, როცა ადამიანი, ყველაზე ავტორიტეტული, განზეა გამდგარი და მას, როგორც ჩანს, ყოველდღე ვერ აწუხებენ და ამიტომაც ბევრი რაღაცის გაკეთება ჭიანურდება, ვინაიდან მისგან ვერ იღებენ ნებართვას. მეორე — ეს არის გამოუცდელი გუნდი, რამდენიმე ადამიანის გამოკლებით, რომლის უმრავლესობა დახარბებულია პრემიებს, მოგზაურობებს, ამის კვალობაზე დაფრინავენ ჰაერში, სულ სხვა რეალობაში ცხოვრობენ და ამბობენ, რომ ყველაფერი კარგად არის.

***— პრემიერ-მინისტრის შეცვლის საკითხი თუ დადგება ამ დარჩენილ დროში?***

— რამდენად უშველის ეს საქმეს, მოდით, ვიკითხოთ. თუ არ შეიცვალა მმართველობის სტილი, პირდაპირ ვთქვათ, თუ არ დაბრუნდა რეალური მმართველი ძალაუფლებაში და არაიღო თავის თავზე ეს ვალდებულება, არაფერი შეიცვლება. მეორეც, თუ არ გამოაფხიზლა მან ეს გუნდი, თუ არ უთხრა, რომ ჰაერში ნუ იფრენენ, პრემიებით ნუ შეაძულებენ ხალხს თავს, ნუ გასუქდებიან უფრო მეტად და მესამე — თუ არ მოვიდა ახალი კადრები. აი, ეს სამი პირობა თუ არ შესრულდა, აზრი არ აქვს, პრემიერი ვინ იქნება!

***— გამოდის, „ოცნების“ გადარჩენა მხოლოდ ივანიშვილის უკან დაბრუნებაშია?***

— სხვა ვარიანტს ნამდვილად ვერ ვხედავ! შესაძლოა, მომავალი წლის არჩევნები, ასე თუ ისე, მოიგონ იმის ხარჯზე, რომ ნაციონალების რეიტინგი ზემოთ ვერ იწევს და სხვა ჯერჯერობით არ ჩანს, ვინც მათ ოპონირებას გაუწევს, თუმცა ამის შემდეგ უარესი კატასტროფა დაემართებათ, კიდევ უფრო მოდუნდებიან, კიდევ უფრო ჩააგდებენ სამუშაოს და ამით ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდება, მერე კი შეიძლება ისე მძიმედ წააგონ არჩევნები, რომ ვერასოდეს დაბრუნდნენ პოლიტიკაში. ეს იქნება მათთვის ყველაზე დიდი ხაფანგი და ხიფათი.

***— გამოდის, 2016-ში ამომრჩეველს კვლავ ნაციონალებსა და „ოცნებას“ შორის მოუწევს არჩევანის გაკეთება?***

— ამ ეტაპზე სხვა არჩევანი, უბრალოდ, არ ჩანს.

***— არასაპარლამენტო ოპოზიციაზე რას იტყოდით?***

— სხვა ძალებს, ვინც გარეთ არის, სჭირდებათ ბევრი ფული და ბევრი ფული ამ ქვეყანაში არ არის. ნაციონალების დროს ბევრი ფული ჰქონდათ ხელისუფლებასა და ბიძინა ივანიშვილს. ბიძინა ივანიშვილი უცებ გამოხტა პოლიტიკაში და არჩევნები მოიგო. დღეს ბევრი ფული მხოლოდ მას აქვს. ასე რომ, გარეთ დარჩენილი ოპოზიციისთვის ძალიან ძნელი იქნება იმხელა ფულის შოვნა, რომ ივანიშვილის ფულს დაუპირისპირონ.

***— ანუ გარეთ დარჩენილი ოპოზიცია დიდ ფულს ეჯახება?***

— დიახ, ეჯახება და ამ დიდ ფულთან უძლურია.

***— ეკონომიკურ პროცესებზეც ვთქვათ ორი სიტყვა.***

— სწორედ ეს ეკონომიკური პროცესები გადაიყოლებს ხელისუფლებას ადრე თუ გვიან. გაისად შეიძლება კიდევ მოასწრონ რაღაც, მერე უკვე ძალიან გვიანი იქნება, ვეღარაფერს მოასწრებენ. გარე ფაქტორებს რომ აბრალებენ, ეს არ არის გარე ფაქტორების ბრალი. ეს არის ზღაპარი. როგორ შეიძლება, ყველაფერი გარე ფაქტორებს დააბრალო, მაშინ როცა მსოფლიო ბაზარზე ნავთობი გაიაფებულია, დოლარი, ასე თუ ისე, აღარ გარბის, რატომ უნდა იყოს ბენზინი მაინც ძვირი?! ორჯერ უფრო იაფია ბენზინი მსოფლიო ბაზარზე, ვიდრე ორი წლის წინ! გამაგებინეთ ვინმემ, ამ სიტუაციაში რატომ უნდა იყოს ჩვენთან ბენზინი ასე ძვირი?!

***— რატომ უნდა იყოს? ამაში დევს ხელისუფლების ინტერესი?***

— ვერ დავაბრალებ ვერც ამათ, თავად რომ გაიძახოდნენ, ლარი ხელისუფლების ჯიბეში მიდისო, თუმცა, რაღაცას რომ ვერ არეგულირებენ, ფაქტია. მეორეც, ლარის პრობლემა საგარეო ინვესტიციების შემცირებაა. საამისოდ მათ იმდენი შეცდომა დაუშვეს, რომ ძალიან შეუწყვეს ამას ხელი, ეს გიჟური სავიზო რეჟიმის შეზღუდვები და მთელი რიგი ფაქტორები.

***— რამდენად ემუქრება ქადაგიძეს იმპიჩმენტი?***

— ვერანაირად ვერ ემუქრება! ეს აბსურდია! მას არანაირი დანაშაული არ მიუძღვის. ამაზე საუბარი უადგილოა.

***— თუმცა მხოლოდ მისკენ იშვერენ ხელს.***

— აბა, ვისკენ გაიშვერენ? თვითონ ხომ არ მოიჭრიან კუდს?! ამ პროცესში ქადაგიძე უდანაშაულოა.

# უსუფაშვილი: რუსულ პროპაგანდას საქართველოში არაფერი გამოუვა“

## „აღმოსავლეთ პარტნიორობას“ პოლონეთში პოლიტიკურ გვამად მიიჩნევენ

მარიამ მჭედლიშვილი

**— ნატო და ევროკავშირი საქართველოსთვის დამცავ ფარს წარმოადგენენ, — აცხადებს ესპანური „ელ მუნდოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, რომელიც დასავლეთს გადაწყვეტილებების მიღების დაჩქარებისაკენ მოუწოდებს.**

მისი სიტყვებით, უკრაინაში მოხდა ის, რაც რუსეთმა ადრე საქართველოში განახორციელა. სპიკერმა გამოხატა იმედგაცრუება იმით, რომ დასავლეთისათვის პუტინის ქმედებები მოულოდნელი აღმოჩნდა.

***— რამ განაპირობა ის, რომ დასავლეთი უფრო მოზომილი გახდა თავის დაპირებებში?***

ჟურნალისტის ამ კითხვას უსუფაშვილი ასე პასუხობს:

— თავიდან ენთუზიაზმი გაქრა, როცა 2008 წლის აგვისტოში მათ შეიგნეს, რომ რუსეთი მზადაა, გამოიყენოს სამხედრო ძალა, მაგრამ ეს ომი გაჩაღდა სწორედ იმიტომ, რომ საქართველოს მიმართ გაკეთდა პოლიტიკური განცხადებები, რომლებიც არ იყო გამყარებული სხვა ზომებით, კერძოდ, ქვეყანაში ნატოს ყოფნით ან კონკრეტული გეგმაზომიერი მოქმედებებით ალიანსში მის ინტეგრაციასთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს ინტეგრაცია ნელა მიმდინარეობს, უსუფაშვილი ფიქრობს, რომ ქვეყნის მოსახლეობის ენთუზიაზმი ამ საკითხში არ შესუსტებულა:

— ქართველებმა მიიღეს მტკიცე გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის პროპაგანდა აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით. რუსებს სურთ, ჩაუჭედონ ადამიანებს აზრი, თითქოს „აღმოსავლეთ პარტნიორობა“ არ შედგა და ამით შექმნან იმედგაცრუების შეგრძნება, მაგრამ არაფერი გამოუვათ.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ დასამარებაზე წერს ამ იდეის აქტიური მომხრე სახელმწიფოს, პოლონეთის, მედია.

გაზეთ „ვ პოლიტიკეს“ შეფასებით, „აღმოსავლეთ პარტნიორობა“ პოლიტიკური გვამია.

პოლონური გაზეთის სიტყვებით, ამ იდეით ჩაფიქრებული იყო, რომ უკრაინა, საქართველო, მოლდოვა, ბელარუსი, აზერბაიჯანი და სომხეთი დაიწყებდნენ მოძრაობას დასავლეთის მიმართულებით და დაშორდებოდნენ რუსეთის გავლენის სფეროს. ეს ქვეყნები უნდა გამხდარიყვნენ თავისებური ბუფერული ზონა ბრიუსელსა და კრემლს შორის, მაგრამ ამ გეგმებს წერტილი დაუსვა რუსეთმა.

ევროპა ვარაუდობდა, რომ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებში საბაზრო რეფორმები და კორუფციასთან ბრძოლა კრემლს ხელს არ შეუშლიდა, თუმცა, როცა საქმე მიდგა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებების ხელმოწერაზე საქართველოსთან, მოლდოვასთან და, მით უმეტეს, უკრაინასთან, რუსეთმა აგრესია გამოავლინა. პუტინმა ჩათვალა, რომ ეს არის რუსეთის ეკონომიკურ და გეოსტრატეგიულ გეგმებში ჩარევა. აღმოჩნდა, რომ გახლეჩილი და სხვადასხვა ინტერესით რუსეთთან დაკავშირებული ევროპა მზად არ არის, ებრძოლოს კრემლს გავლენისათვის პოსტსაბჭოთა სივრცეში. მოსკოვმა საზღვრები განსაზღვრა ყირიმის ანექსიითა და აგრესიით აღმოსავლეთ უკრაინაში. ამასთან, გაირკვა, რომ ევროკავშირი ვერ შესთავაზებს პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებს რუსეთთან თანამშრომლობის ალტერნატივას.

— „აღმოსავლეთ პარტნიორობამ“ მარცხი განიცადა. რუსეთსა და ევროპას შორის საზღვარი აღმოსავლეთ ევროპაზე, მათ შორის, პოლონეთზე გაივლის. — ასკვნის გაზეთი.

გამოცემის აზრით, რიგის სამიტის ერთადერთი შედეგი არის 1,8 მილიარდი ევროს კრედიტი კიევისათვის, ასევე — საქართველოსა და უკრაინისათვის უვიზო მიმოსვლის პერსპექტივა.



უცხოური მედიის ცნობით, რიგის სამიტის უშედეგობით, ასევე დასავლეთის მხრიდან გახშირებული კრიტიკით გამწარებული აზერბაიჯანი რუსეთს უახლოვდება. ქვეყნის საგარეო მინისტრმა ელმარ მამედიაროვმა არ გამორიცხა ბაქოს შესვლა ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში. ამასთან, რუსეთის პრეზიდენტი დაესწრება პირველი ევროპული თამაშების „ბაქო 2015“-ის გახსნის ცერემონიალს 12 ივნისს.

# მამუკა კაციტაძე: თბილისის საკრებულოში „ქართულმა ოცნებამ“ ხმების 30% მოიპარა“

## როდის შეიცვლება საარჩევნო კანონმდებლობა?

ნათია ხურცილავა

**ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებსა და საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლის აუცილებლობაზე 'ახალ თაობას~ 'ახალი მემარჯვენეების~ წარმომადგენელი მამუკა კაციტაძე ესაუბრა.**

***— ბატონო მამუკა, როგორ აფასებთ ნაციონალურ მოძრაობაში განვითარებულ მოვლენებს, შეიძლება, ყოფილი მმართველი გუნდი დაიშალოს?***

— არსებობს ვერსია, რომ ნაციონალურ მოძრაობაში განვითარებული მოვლენები არის დადგმული სპექტაკლი, რომ არავინ არსაიდან არ წასულა. არათუ დაიშალნენ, გაიშალნენ და სადღაც კვლავ შეერთდებიან. ამ ვერსიის არ მჯერა. ნაციონალურ მოძრაობაში მისი არსებობის ყველა ეტაპზე შიდა განხეთქილებები იყო. თავის დროზე ამ ფონზე მათ უფრო სერიოზული ფიგურები გარიყეს, ვიდრე ამ შემთხვევაში.

***— კონკრეტულად?***

— ირაკლი ოქრუაშვილი, ნინო ბურჯანაძე, ზურაბ ნოღაიდელი, რომელი ერთი ჩამოვთვალო. ეს დამახასიათებელია ნაციონალური მოძრაობისთვის. ეს არის ობიექტური რეალობიდან გამომდინარე.

***— ამ ეტაპზე რა მოხდა, როგორ ფიქრობთ?***

— ქართულ პოლიტიკაში არის ორი წონიანი პოლიტიკური ფიგურა, რომლებთანაც პირდაპირ თუ ირიბად კავშირშია მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესები. ვგულისხმობ ივანიშვილსა და სააკაშვილს. ამ განხეთქილებაში ან ორივეს ხელი ურევია, ან მინიმუმ ერთ-ერთის. ან სააკაშვილი გახდა მათ შორის დავის საგანი, ან ივანიშვილის მხრიდან იყო ანკესი გადაგდებული, ან ორივემ ერთად იმუშავა ამ სიტუაციაზე.

***— ისინი კონსულტაციებს აპირებენ, შეხვედრები უკვე გამართეს. აპირებთ რაიმე სახის კონსულტაციებს? თუ წარმოგიდგენიათ თანამშრომლობა?***

— ისინი არიან დეპუტატები, მაგრამ უპარტიო, ამ ქვეყნის მოქალაქეები. შეიძლება, „ახალი მემარჯვენეები“ კარგ პოლიტიკურ მდგომარეობაში არ ვიყოთ, მაგრამ არც იმ მდგომარეობაში ვართ, რომ სანთლით ხელში გამოვიდეთ მოქალაქეების საძებრად პოლიტიკურ ველზე. ჩვენ გარკვეული დღის წესრიგი გვაქვს შემუშავებული. ამ კუთხით მე მოლოდინებს ვერ შევქმნი. თქვენს კითხვაზე ჩემი პასუხია — არა.

***— არასაპარლამენტო ოპოზიცია საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლას ითხოვს. ხელისუფლებას ჯერ თავისი პოზიცია არ დაუფიქსირებია. როგორ შეიძლება, მოვლენები განვითარდეს?***

— საქართველოში საარჩევნო სისტემა უვარგისია. ამას ოპოზიცია მრავალი წელია ამბობს. არა მხოლოდ ოპოზიცია, ამას ამბობს საერთაშორისო საზოგადოება, რომელიც მრავალი წელია, რაც საქართველოში ყველა ხელისუფალს აძლევს რეკომენდაციას, რომ საარჩევნო კანონმდებლობა ქვეყანაში შესაცვლელია. უსამართლოა, არაობიექტურია, არადემოკრატიულია მოქმედი საარჩევნო სისტემა. ამ არაობიექტურობის მთავარი მიზეზი ორი მთავარი პრინციპის დარღვევაა.

***— რა პრინციპების?***

— ერთი, ამომრჩევლის ხმის წონის არათანაბრობა, რაც ნიშნავს 5 ათას ამომრჩეველსა და 150 ათას ამომრჩეველს ერთი დეპუტატი ერთი ხმით არ უნდა ჰყავდეს მივლენილი საქართველოს პარლამენტში. დეპუტატის უკან უნდა იდგეს დაახლოებით ამომრჩეველთა თანაბარი რაოდენობა, რომ მისი ხმის წონა იყოს თანაბარი და დაცული. ეს პრინციპი დარღვეულია. მეორე, ასევე დარღვეული პრინციპი, რომელიც უკავშირდება კონკრეტულ პარტიას ან ბლოკს, რომელიც მის მიერ არჩევნებზე აღებულ პროცენტს და ამ პროცენტის მანდატებზე გადანაწილებას უკავშირდება. მაგალითად, ადგილობრივ არჩევნებზე თბილისის საკრებულოში „ქართულმა ოცნებამ“ ხმების 44 პროცენტი მიიღო, მაგრამ საკრებულოში მანდატების 75 პროცენტი მიიღო. ეს ნიშნავს, რომ მან 30 პროცენტზე მეტი მოიპარა, უფრო ზუსტად, სისტემამ მოაპარვინა.



***— მაჟორიტარული სისტემის გაუქმებაზე იყო საუბარი. რა ეტაპზეა ეს საკითხი?***

— ამ უვარგისობის მიზეზი არის ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქები როგორც საპარლამენტო, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს. ჩვენ ხელისუფლებას ამ მანკიერი სისტემიდან გამოსავალს ვთავაზობთ.

***— რა არის გამოსავალი?***

— ჩვენ ვამბობთ, რომ მაჟორიტარული სისტემა ჩაანაცვლოს სამხარეო პროპორციულმა სისტემამ და მივიღოთ შერეული სისტემა.

***— ეს მოდელი რას ითვალისწინებს?***

— პარლამენტის დეპუტატთა 150-კაციანი შემადგენლობიდან ნახევარი აირჩეს პარტიული სიიდან, მეორე ნახევარი კი წარმოადგინონ მხარეებმა, მაგალითად კახეთმა, ქვემო ქართლმა, გურიამ, სამეგრელომ და ა.შ. სოლიდური წარმომადგენლობა ეყოლებათ რეგიონებს, უფრო ზუსტად, მხარეებს. ამით მოხდება იმ უსამართლობის პრინციპის აღმოფხვრა, რომელიც დღეს გვაქვს. ეს აღადგენს ნდობასაც როგორც არჩევნების, ისე არჩეული ორგანოების მიმართ.

***— გამოდის, მხოლოდ სახელწოდება იცვლება, გვულისხმობ მაჟორიტარული სისტემის ჩანაცვლებას სამხარეოთი. ასეა?***

— რა თქმა უნდა და ამას სჭირდება საკონსტიტუციო ცვლილება.

***— დეპუტატთა რაოდენობის ცვლილების საკითხზეც არის მსჯელობა თუ კვლავ 150 დეპუტატი დარჩება?***

— არა, ეს ყველაფერი ხდება 150 დეპუტატის ფარგლებში.

***— პარტიებს რა დონეზე გაქვთ კონსულტაციები, ეს უკვე შეთანხმებული ვარიანტია? როგორია ხელისუფლების პოზიცია?***

— შაბათს პრეზიდენტის ინიციატივით პრეზიდენტის სასახლეში იმართება საერთაშორისო კონფერენცია, რომლის თემაც ერთადერთია — საარჩევნო სისტემა საქართველოში. წარმოდგენილი იქნებიან ხელისუფლების წარმომადგენლები, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, მინისტრები, მმართველ კოალიციაში შემავალი პარტიები, საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები, ექსპერტები და არასამთავრობო სექტორი და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ეს ყველაფერი იმიტომ მოგახსენეთ, რომ ჩვენ შევთანხმდით კონკრეტულ ფორმულაზე — მაჟორიტარული სისტემა ჩანაცვლდეს სამხარეო-პროპორციულით. ჩვენს სამოქალაქო თანხმობის მემორანდუმს თავის დროზე პარლამენტის თავმჯდომარე შემოუერთდა, ხოლო დანარჩენი მსჯელობა პრეზიდენტის მიერ ინიცირებულ კონფერენციაზე უნდა გაიმართოს.

***— ერთ მხარეს რჩება კოალიცია „ქართული ოცნება“, მეორე მხარეს კი — ყველა დანარჩენი?***

— დიახ. ასეა. ამ დროს ხელისუფლება დუმს. ჩვენ გვინდა, ამ კონფერენციაზე ხელისუფლებას ვუთხრათ: ეს არ ვარგა, საჭიროა ამის გაკეთება და როგორია თქვენი პოზიცია. თუ ხელისუფლება ფიქრობს, რომ არქაული მეთოდის გამოყენებით დროს გაწელავს და იტყვის, ვერ ესწრება, კვლავ დააპირებს 30 პროცენტის მოპარვას 2016 წლის არჩევნებზე და ამით გავა ფონს, ძალიან ცდება. ვნახოთ, როგორ განვითარდება 30 მაისს მოვლენები.

დასაწყისი მე-3 გვერდზე

## ზურაბ ჯაფარიძე ირაკლი ღარიბაშვილს შეხვდა?

ბაშვილს. — დაწერა გოგა ხაჩიძემ.

ცნობისათვის, წამოსულები პეტრიაშვილის ქუჩაზე, გოგა ხაჩიძის ხმის ჩამწერ სტუდიაში არიან გამაგრებული და ქვეყნის გადარჩენის გეგმებსაც ჯერჯერობით აქ დააწყობენ.

ოთხეულის სამომავლო გეგმებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ელჩი ნორლანდიც დაინტერესდა. ეს შეხვედრა გუშინ შედგა. ამ შეხვედრაზე ოთხეულის წევრები ამაყად საუბრობენ.

როგორც ოთხეულის წევრები განმარტავენ, ჯაფარიძემ აშშ-ის ელჩს საკუთარი ხედვა გააცნო ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით.

განდგომილი ჯაფარიძე დიპლომატს საკუთარ გადაწყვეტილებაზეც ესაუბრა, რაც ახალი პოლიტიკური ცენტრის შექმნას უკავშირდება.

ამჟამად განდგომილთა მთავარ ამოცანას საპარლამენტო ფრაქციის შექმნა წარმოადგენს. ამ მიზნის მისაღწევად მათ 2 დეპუტატი სჭირდებათ.

გოგა ხაჩიძე და პავლე კუბლაშვილი აცხადებენ, რომ ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობენ.

ამ დროისთვის მათთან გაწევრიანების სურვილი არავის გამოუთქვამს. ოთხეულს სჯერა, რომ თანამოაზრეებს ნაცმოძრაობაშიც იპოვიან.

მათ რიგებში ნაციონალების გადასვლის დიდად არ სჯერა გიორგი ვაშაძეს. გავრცელებული ინფორმაციით, ოთხეულთან ერთად მასაც უნდა დაეტოვებინა პარტია. ვაშაძე დარჩა და სხვებთან ერთად აყრის ქოქოლას წასულებს.

ვაშაძის თქმით, დიდი ტრაგედია არ იქნება, თუ წასულები საპარლამენტო ფრაქციის შექმნას მოახერხებენ.

დეპუტატი იმაშიც დარწმუნებულია, რომ ნაციონალების ბაზაზე შექმნილი ფრაქცია ნაციონალებს ხელს ვერ შეუშლის.

— ხელის შემშლელი არ არის, ჩვენ ჩვენს საქმეს ვაგრძელებთ. ხედავთ, რომ დღესაც აქტიურად ვიღებთ მონაწილეობას კონფერენციაში, აქტიურად ვართ პარლამენტში და ყველაფერს ვაკეთებთ. — განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

რაც შეეხება იმას, რომ ყოფილ ნაციონალებს ფრაქციის შესაქმნელად ორი ადამიანი სჭირდებათ, გიორგი ვაშაძემ თქვა, რომ ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ აქვს.

— ღმერთმა გაუმარჯოთ, სადაც უნდათ, იქ იპოვონ. არანაირი ინფორმაცია არ მაქვს! — განაცხადა ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა.

# ნასამართლევ ვეტერანებს 22 ლარსაც არ აძლევენ

გულიკო ბალაძე

**უფლებადამცველი, ვეტერანთა ომბუდსმენი გიორგი თევზაძე აცხადებს, რომ დღეს ვეტერანთა სოციალური მდგომარეობა გაუსაძლისია.**

— ახლახან მოგვმართა თალიკო ანდღულაძემ, რომელიც სოციალურად დაუცველია. მისი მეუღლე სამამულო ომში იბრძოდა. ის ითხოვს მატერიალურ დახმარებას. მისი განცხადება განსახილველად გადავაგზავნე ჯანდაცვის სამინისტროში და მათგან ველოდები პასუხს. — ამბობს გიორგი თევზაძე.

უფლებადამცველს დახმარებისთვის აფხაზეთის ომის მონაწილე იოსებ თადაშვილის მეუღლე მარიამ ცუცქირიძემაც მიმართა.

წინა ხელისუფლების დროს იოსებ თადაშვილი უკანონოდ იყო დაკავებული. საქმე წარიმართა არაობიექტურად. ამიტომ მარიამ ცუცქირიძე მოითხოვს სისხლის სამართლის საქმის სამართლიანად გამოძიებასა და დამნაშავეების დასჯას.

— შემოსული განცხადება გადავუგზავნეთ მთავარ პროკურატურას. ეს საქმე იმ დეპარტამენტმა უნდა შეისწავლოს, რომელიც უკანონო პატიმრების საქმეებს ხელახლა იძიებს. — აცხადებს გიორგი თევზაძე.

***— სახელმწიფო ომის ვეტერანებს 9 მაისთან დაკავშირებით 500 ლარით დაეხმარა.***

— დღეს ვეტერანები 22-ლარიან დახმარებას იღებენ. ზოგიერთი მათგანი, დაწესებული შეზღუდვების გამო, 22 ლარსაც ვერ იღებს.



***— რა შეზღუდვებია დაწესებული?***

— ნასამართლობისა და საჯარო სამსახურში მუშაობის შემთხვევაში იმ 22— ლარიან დახმარებასაც ველარ იღებენ.

***— გამოდის, რომ თუ ვეტერანი ნასამართლევია, 22-ლარიან დახმარებას ვერ მიიღებს?***

— დიახ.

***— გარდა 22 ლარისა, ვეტერანებს სხვა სოციალური შეღავათები არ აქვთ?***

— ზოგჯერ იღებენ ინდივიდუალურ დახმარებებს, შეღავათებს მუნიციპალურ ტრანსპორტზე. ვეტერანებს ძირითადად დასაქმების პრობლემა და უბინაობა აწუხებთ. ვეტერანთა ბევრი ოჯახი დარჩენილია ღია ცის ქვეშ. ბევრი მათგანი ვაზიანში, ყოფილი სამხედროების დასახლებაში, ამორტიზებულ კორპუსშია თავშეფარებული, რომლის საკუთრებაში გადაცემასაც დღემდე ითხოვენ, მაგრამ სახელმწიფო დუმს.

***— ვეტერანების მკურნალობის საკითხი როგორ არის გადაწყვეტილი? თუ აქვთ მათ სრულყოფილი ჯანდაცვის პაკეტი?***

— ვეტერანებს ჯანდაცვის სრულყოფილი პაკეტი არ აქვთ. ხელისუფლების რგოლს წარმოადგენს ვეტერანთა საქმის სახელმწიფო სამსახური, რომელიც ასევე ვალდებულია, ზრუნავდეს ვეტერანებისათვის სრული სოციალური პაკეტის შეთავაზებასა და სამოქალაქო ინტეგრაციაზე.

***— თქვენ რა გამოსავალს ხედავთ?***

— აუცილებელია, ვეტერანებს დაურიგდეთ მიწის ნაკვეთები და ხელი შეეწყოს მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამისათვის საჭიროა, სახელმწიფო სერიოზულად მიუდგეს ვეტერანთა პრობლემებს და, რაც მთავარია, საჭიროა ამის პოლიტიკური ნება.

***— ფიქრობთ, რომ პოლიტიკური ნება არ არსებობს?***

— შესაძლებელია, პოლიტიკური ნება არის, მაგრამ ის, რაც კეთდება, ზღვაში წვეთია. კარგი იქნებოდა, ხელისუფლებას შეექმნა ვეტერანთა სარეაბილიტაციო ცენტრი სამედიცინო მომსახურების კუთხით, რომლის დაფინანსებაზე პასუხისმგებლობას აიღებდნენ სახელმწიფო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები.

***— იცით, რა თანხა იხარჯება დღეს ერთი ვეტერანის შესანახად სახელმწიფოს მხრიდან?***

— სამწუხაროდ, არ ვიცი, რა თანხა იხარჯება დღეს საქართველოში ვეტერანების სოციალური მომსახურებისათვის, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია, ამერიკული გამოცდილება გავიზიაროთ, სადაც ერთი ვეტერანი ათასობით დოლარს იღებს, სადაც სახელმწიფო პროგრამები დადებით როლს თამაშობს ვეტერანთა სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად, რასაც ჩვენს სახელმწიფოზე ვერ ვიტყვით. მე, როგორც ვეტერანთა ომბუდსმენს, სახალხო დამცველთან გაფორმებული მაქვს მემორანდუმი.

ვთანამშრომლობთ ვეტერანთა მსოფლიო ფედერაციასთან, რომლის ვიცეპრეზიდენტი იმყოფებოდა საქართველოში და ახლოს გაიცნო ქართველი ვეტერანების პრობლემები. ისინი დაინტერესდნენ ვეტერანთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ჩვენეული ხედვითაც, შეხვდნენ უწმინდეს ილია მეორეს. პატრიარქმა თქვა, რომ დღეისათვის ყველაზე მთავარი ვეტერანთა დასაქმებაა, რაშიც მსოფლიო ვეტერანთა ფედერაციის პრეზიდენტმა მხარდაჭერა აღუთქვა.

როგორც ვეტერანთა ომბუდსმენი, ხელისუფლებას ვთხოვ, სერიოზული ყურადღება მიაქციოს ვეტერანთა პრობლემების გადაჭრას. ვეტერანები მხოლოდ სადღესასწაულო დღეებში არ უნდა გვახსენდებოდეს!

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ობიანი იოგურტი, ამჟავებული რძე და დაშლილი ქათამი

## როგორ ვიზრუნოთ სურსათის უვნებლობაზე



დაახლოებით ერთი კვირის წინ ქალაქ ბათუმის კვების ობიექტებში სურსათის უვნებლობის სააგენტოს მუშაკებმა ცხენის ხორცი აღმოაჩინეს. შემოწმებული შვიდი კაფე-ბარიდან ორში კერძები ცხენის ხორცისგან იყო დამზადებული. ორივე კაფე-ბარის მფლობელი 1.000 ლარით დაჯარიმდა. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა ის განუკითხაობა და ქაოსი, რომელიც ამ სფეროში წლების განმავლობაში სუფევდა. საბედნიეროდ, ბოლო ხანებში საქართველოში სურსათის კონტროლის საკითხი შედარებით გამოსწორდა. ამ სფეროში ერთნაირად აქტიურობენ როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები, ასევე სურსათის უვნებლობის სააგენტოც, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც მომხმარებლის გამოფხიზლებაა.

— ჩვენს საქმიანობაში ბევრი რამ არის დამოკიდებული მომხმარებლის გაბედულებასა და აქტიურობაზე. სწორედ მან უნდა იმოქმედოს, როდესაც უხარისხო პროდუქტს შეიძენს, — ამბობს სტრატეგიული კვლევების ცენტრის წარმომადგენელი ლია თოდუა, რომელსაც ბიპიენი ესაუბრა.

***— ალბათ, ძალიან ბევრი შემთხვევა გახსოვთ, როდესაც სავაჭრო ქსელში მავნებელი და სიცოცხლისათვის საშიში პროდუქცია აღმოგიჩენიათ...***

— მე მხოლოდ უახლოეს პერიოდში მომხდარ ფაქტებს ჩამოგითვლით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ამ სფეროში კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

2015 წლის 7 მაისს ცხელ ხაზზე დაგვიკავშირდა მომხმარებელი და გვთხოვა კაკაოს ფხვნილის შემოწმება, რომელიც ვაკეში, ერთ-ერთ მარკეტში შეიძინა. ქალი ეჭვობდა, რომ ამ ფხვნილისგან ოჯახში დამზადებულმა ნამცხვარმა ის და მისი შვილი მოწამლა. მომხმარებელმა ფხვნილი 80-გრამიანი შეფუთვით შეიძინა. შეფუთვაზე დამზადების თარიღად 2015 წლის მარტია მითითებული, ასე რომ, ვარგისიანობის ვადა პროდუქტს გასული არ ჰქონდა.

2015 წლის 8 მაისს მივედით მის მიერ მითითებულ მაღაზიაში და შევიძინეთ კაკაოს ფხვნილი, რომელიც ლაბორატორიას ანალიზისათვის ჩავაბარეთ. ლაბორატორიიდან მიღებული პასუხის მიხედვით ფხვნილში ობის სოკოების გადაჭარბებული რაოდენობა აღმოჩნდა, მაგრამ რადგანაც პროდუქტი ჰერმეტულად იყო დახურული, ის, სავარაუდოდ, საწარმოში დაზიანდა. ასე რომ, ამ შემთხვევაში მაღაზიის ბრალეულობა გამოირიცხა.

2015 წლის 2 აპრილს, ერთ-ერთმა მომხმარებელმა ისანში მდებარე მაღაზიაში საეჭვო ხარისხის ქათამი შეიძინა და მისი შემოწმება გვთხოვა. მომხმარებლის განმარტებით, ნაყიდი ქათამი შეფუთვის გახსნისთანავე დაიშალა. ჩვენ ეს პროდუქტი შესამოწმებლად ლაბორატორიას გადავუგზავნეთ. მიღებული პასუხის მიხედვით, ქათამში ნაწლავის ჯგუფის ბაქტერიები და ოქროსფერი სტაფილოკოკი აღმოჩნდა. ჩვენი ჩარევის შემდეგ მაღაზიამ ეს პროდუქტი გაყიდვიდან ამოიღო ანუ მომხმარებლის და ჩვენმა ერთობლივმა აქტიურობამ სასურველი შედეგი მოგვცა.

უფრო ადრე, 2015 წლის 24 თებერვალს, ერთ-ერთ მაღაზიაში შევიძინეთ მათივე საცხობში გამომცხვარი ნამცხვარი შუ, რომელიც გამოსაკვლევად ლაბორატორიას ჩავაბარეთ. ნამცხვარში კოლიფორმები აღმოჩნდა.

***— სახედრის და ცხენის ხორცთან თუ გქონიათ შეხება?***

— ერთადერთი ლაბორატორია, რომელიც დაუმუშავებელ, უმ ხორცს ამოწმებს, არის სასამართლო ექსპერტიზის ბიურო. ეს ყველაზე ძვირი ლაბორატორიაა, ამიტომ, ამ ტიპის დარღვევების აღმოჩენა სახელმწიფო უწყებების პრეროგატივაა. ჩვენ ვამოწმებთ პროდუქტს, მაგრამ პროდუქტს არ ეტყობა, ცხენის ხორცისგან არის დამზადებული, თუ სხვა რამისაგან. სახელმწიფო სამსახური კი დოკუმენტაციას ამოწმებს, ამიტომ ეს საკითხი მათთვის უფრო ადვილი გასარკვევია. მოკლედ, მსგავსი დარღვევების აღმოჩენა საჯარო უწყების მიერ გაცილებით იოლია.

***— რა სირთულე ახლავს თქვენს საქმიანობას?***

— როდესაც პროდუქტი უხარისხოა, მომხმარებელი ჯერ მაღაზიაში მიდის. მაღაზია კი ცდილობს, დაზიანებული სურსათი ქსელიდან ამოიღოს. ამიტომ, ჩვენ ამ პროდუქტის ნახვის შანსი იშვიათად გვაქვს ხოლმე. ამ რამდენიმე თვის წინ მომხმარებელმა მატლიანი სოსისის ფოტოები გამოგვიგზავნა, ამის შესახებ ინფორმაცია ჩვენს საიტზეც გამოაქვეყნა და სოციალური ქსელითაც, მაგრამ იმ მაღაზიაში რომ მივედით, დაზიანებული სოსისი არ დაგვხვედრია. ასეთ დროს ძნელია, რაიმე ამტკიცო. იყო საჩივრები ობიანი იოგურტისა და ამჟავებული რძის პროდუქტების შესახებ. მომხმარებელს ქვა, თმა, ძაფი და მწერიც კი აღმოუჩენია გამომცხვარ პროდუქტებში, მაგრამ როდესაც მაღაზიას მივაკითხავთ, შესამოწმებლად სხვა ნიმუშების შეძენა გვიწევს და ასეთი დაზიანების აღმოჩენის შანსი ნაკლებად გვაქვს. მხოლოდ ერთხელ მოვასწარით და ჭიანი შოკოლადის მთელი პარტია შევისყიდეთ.

ყოფილა შემთხვევა, როდესაც მომხმარებელმა გაფუჭებული თევზის გამო მოგვმართა. ჩვენ კი მივუსწარით და ეს ფაქტიც დავაფიქსირეთ, მაგრამ მერე სურსათის ეროვნულმა სააგენტომ უარყო: სააგენტოს წარმომადგენლები შემოწმებაზე რომ მივიდნენ, დაზიანებული პროდუქცია მაღაზიაში აღარ დახვდათ. ამიტომ, ძალიან რთულია ასეთი ფაქტების დაფიქსირება, მაგრამ თავისთავად კარგია, რომ მაღაზიები ძალიან სწრაფად რეაგირებენ საჩივარზე. გარდა ამისა, კიდევ არის ერთი, ყველაზე მძიმე დაბრკოლება ჩვენთვის...

***— რა დაბრკოლებას გულისხმობთ?***

— ეს დაბრკოლება მომხმარებლის გულგრილობა და დუმილია. ჩვენ ახლახან ჩავატარეთ სოციალური კვლევა, რომლის შედეგებიც ამ დღეებში გამოქვეყნდება და ბევრს გააკვირვებს: ერთ-ერთი საინტერესო პუნქტი ამ კვლევაში შემდეგია — მომხმარებლები ამბობენ, რომ მათ ძალიან ხშირად ხვდებათ დარღვევები სასურსათო მაღაზიებში, მაგრამ ცოტა თუ იღებს ხმას ამის გამო. თუმცა, ვინც პრეტენზია გამოთქვა, აღიარებს, რომ მათი პრეტენზია გაითვალისწინეს და უხარისხო სურსათი დახლიდან მაშინვე მოაშორეს.

საოცარია, თუ მდგომარეობის გამოსასწორებლად მხოლოდ ერთი სიტყვა, ერთი შენიშვნაც საკმარისია, რისი გვერიდება და გვეშინია?! როგორც კი ასეთ დარღვევას აღმოაჩენს, თუ მაღაზიაში არ მოუსმენენ, მომხმარებელმა მაშინვე უნდა მიმართოს სურსათის ეროვნულ სააგენტოს, თუმცა ბევრი მათგანი ჩვენთან ურთიერთობას ამჯობინებს.

***— რატომ?***

— ჩვენთან ურთიერთობა იოლია იმიტომ, რომ ანონიმურობას ვიცავთ. ვისაც თავისი სახელისა და გვარის დასახელება არ უნდა, ისინი მოგვმართავენ, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ უფრო გაბედულები უნდა გავხდეთ. არ უნდა გვეშინოდეს თუნდაც იმიტომ, რომ სხვა მომხმარებელი აღარ აღმოჩნდეს ჩვენს მდგომარეობაში. თბილისში შედარებით უფრო გამოსწორდა მდგომარეობა, რეგიონებში ამ მხრივ კვლავ რთული სიტუაციაა.

ხათუნა ჩიგოგიძე, ბიპიენი

# Made in Georgia-ს ნაწარმი ევროპისა და ამერიკის ბაზრებზე გავა

## „საქართველოს რეალურად აქვს იმის შანსი, რომ ეს ნიშა დაიკავოს“

**თურქეთი ტექსტილის ბიზნესის წარმოების მხრივ კავკასიაში ლიდერია. უკვე წლებია, რაც თურქული კომპანიები საქართველოში ინვესტიციების გაფართოებას ცდილობენ. სხვადასხვა მიმართულებას შორის ერთ-ერთი გამორჩეული ტექსტილის ბიზნესია.**

ექსპერტთა თქმით, უცხოელ ინვესტორებს საქართველო ბიზნესის კეთების სიადვილით, კორუფციის დაბალი დონით, სტაბილური საბანკო სისტემით და ბევრ ქვეყანასთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებით ხიბლავს.

თურქული კომპანიების ინვესტირებას ქართული სამკერვალო ფაბრიკის ხელმძღვანელები მიესალმებიან. თუმცა, ამ სფეროს განვითარებისთვის სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერისა და გარკვეული ვადით ფინანსური შეღავათის დაწესებაზე საუბრობენ.

— საპროცენტო განაკვეთი ძალიან მაღალია. თურქეთი ამ ბიზნესის განვითარებისთვის უპროცენტო სესხს გასცემს. მართალია, ჩვენ ამ ქვეყანას ვერ დავეწევით, მაგრამ ხომ შეიძლება ჩვენმა სახელმწიფომ გარკვეული შეღავათებით მხარი დაგვიჭიროს. რამდენიმე წლით საშემოსავლო გადასახადისგან გაგვათავისუფლოს, დაბალპროცენტიანი სესხები გასცეს. სხვანაირად გაგვიჭირდება, — ამბობენ მწარმოებლები.

საქართველოში ინვესტირებას კიდევ ერთი თურქული კომპანია გეგმავს, რომელიც საქართველოში ტექსტილის ბიზნესის წარმოებასა და პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტს გეგმავს.

— მართალია, საქართველოს ბაზარი პატარაა, მაგრამ ამ შესაძლებლობების გამოყენებით, თურქ ინვესტორებს შეუძლიათ, საქართველოში კომპანიები დააარსონ ან ადგილობრივებს შეკვეთა მისცენ და არამარტო კავკასიის რეგიონს, არამედ ევროპის ქვეყნებს მოემსახურონ, — ვარაუდობენ ექსპერტები.

რას ფიქრობენ ფაბრიკის ხელმძღვანელები?

თბილისში არსებული სამკერვალოს ხელმძღვანელმა, ზურაბ ჩადუნელმა ბიპიენს უთხრა, რომ წინა ხელისუფლების დროს საუბარი იყო, რომ თურქულ კომპანიებს ტექსტილის ბიზნესი საქართველოში ეწარმოებინათ.

— ჩვენი ქვეყნის ადგილმდებარეობა მათთვის მომგებიანია, ნაკლებ დანახარჯებს მოითხოვს, ვიდრე ჩინეთი, ბანგლადეში და სხვა ქვეყნები, სადაც ცნობილი ბრენდების სამოსს კერავენ. ჩვენ თვითონ დამოუკიდებლად ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს და ჩვენი ნაწარმი ევროპის ბაზარში გადის. თუმცა, მცირე რაოდენობით. იმისათვის, რომ საქართველომ ამ ბიზნესში ნიშა დაიკავოს, საჭიროა სახელმწიფოს მხარდაჭერა. მხოლოდ ჩვენით ვერაფერს გავხდებით. რამდენიმე წლით მაინც საშემოსავლო უნდა შეამცირონ. ამაზე ლაპარაკი მუდმივად არის. მთავარია ხელშეწყობა, — აღნიშნა ზურაბ ჩადუნელმა.

სამკერვალო ფაბრიკა „ლაურა“ იტალიურ ბრენდ „მონ კლერისთვის“ ორ წელზე მეტია,

ძვირადღირებულ ქურთუკებს კერავს, რომელთა ფასი 1.000 ევრომდე აღწევს. უცხოურმა კომპანიამ ფაბრიკასთან ათწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ფაბრიკის მფლობელი ლაურა დაჭავა ამბობს, რომ ორი დღის წინ მორიგი ხელშეკრულება ერთ-ერთ თურქულ კომპანიასთან გააფორმა.

—ჩემი ფაბრიკის მაგალითზე გეტყვით, რომ ეს ნიშა დავიკავეთ. ჩვენი პროდუქციის ხარისხი ძალიან მოსწონთ. უკვე ყოველგვარი შემოწმების გარეშე, პირდაპირ რეალიზაციაში უშვებენ. მთავარია, შეკვეთილი რაოდენობა შევასრულოთ და ეს კომპანიები საქართველოდან არსად წავლენ. საქართველოში საბაჟო მომსახურება მაღალ დონეზეა, რაც მოსწონთ. თუ დღგ-ს გადასახადი არ იქნება, მაშინ სხვა ბრენდსაც მოიყვანენ. MADE IN GEORGIA-ს ეტიკეტით ჩვენი შეკერილი ძირითადად გერმანიაში გავა. 7 თვეა, რაც ამერიკის ბაზარზეც შევედით. „მონ კლერის“, „მაულის“ ბავშვთა სამოსის, „მალბოროს“ შეკვეთებს ვასრულებთ, — ამბობს ლაურა დაჭავა.

მისივე თქმით, კარგი იქნება თუ სახელმწიფო ამ ბიზნესის განვითარებაზე უფრო მეტად იზრუნებს და ფაბრიკებს დაბალ საპროცენტო განაკვეთს შესთავაზებს.

— თურქეთში რომ მივდივარ და იქაურ ფაბრიკებს ვუყურებ, გული მწყდება. ძალიან მაღალ დონეზეა. თურქეთი ძლიერი ქვეყანაა, ამ ბიზნესის წამომწყებთ პირდაპირ აძლევენ უპროცენტო სესხს. ჩვენს ქვეყანას ამის შესაძლებლობა არ გააჩნია, მაგრამ კარგი იქნებოდა, დაბალპროცენტიანი სესხი მაინც იყოს. ძალიან კარგი პროექტია „აწარმოე საქართველოში“, სადაც საპროცენტო განაკვეთი 9%-ია. მინდოდა ამ პროექტით მესარგებლა, ბიზნეს გეგმა შევადგინე, მაგრამ ბანკებმა სესხის გაცემისგან თავი შეიკავეს. თქვენისთანა ფაბრიკა მეორე არ არის, რამე შეფერხება რომ მოგივიდეთ, ამდენი დანადგარი სად წავიღოთო? ძალიან დიდი სიფრთხილით გასცემენ სესხებს, — დასძენს ლაურა დაჭავა.




წელს ტყიბულში ახალი სამკერვალო ფაბრიკა გაიხსნა, რომლის პროდუქცია მთლიანად ექსპორტზეა ორიენტირებული. როგორც სამკერვალოს დამფუძნებელი გივი დუჩიძე ამბობს, მაღალმთიანი რეგიონი გარკვეული გადასახადებისგან გათავისუფლდა და ფაბრიკის გახსნაც სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს. ამჟამად, სამკერვალო თურქული ბრენდის პროდუქციას კერავს. აქ იკერება მსოფლიო ბრენდები.

დუჩიძის თქმით, მსგავსი ფაბრიკები ძირითადად ჩინეთში, მაროკოში, ბანგლადეშსა და ვიეტნამშია განლაგებული, რაც სატრანსპორტო ხარჯებს მნიშვნელოვნად ზრდის.

— ამ მხრივ, საქართველოს ხელსაყრელი ადგილმდებარეობა აქვს. ჩვენთან უსაფრთხო, არაკორუფციული და დაცული გარემოა, — ამბობს დუჩიძე.

მეწარმეობის განვითარების სააგენტოში აცხადებენ, რომ „აწარმოე საქართველოში“ პროექტის ფარგლებში ტექსტილის წარმოება პრიორიტეტულია. თუმცა, ახლო მომავალში პროექტით გათვალისწინებულის გარდა, სხვა შეღავათების დაწესება არ იგეგმება.

სალომე გოგოხია, ბიპიენი

# საწვავზე ფასების მატება გრძელდება



საწვავზე ფასების მატების ტრენდი გრძელდება. ბოლო პერიოდში ფასებმა სხვადასხვა პროდუქტზე 2-დან 5 თეთრამდე მოიმატა.

როგორც „ლუკოილის“ დირექტორი შავლეგ მიშველაძე ბიპიენთან საუბრისას აღნიშნავს, საწვავზე ფასების მატების ტენდენცია გრძელდება:

— ჩვენს ქსელში ფასები დღეს შევცვალეთ და ყველა ტიპის პროდუქტზე ფასი 5 თეთრით გავზარდეთ. ფასების მატების ტენდენცია ისევ გრძელდება, რაც ჩვენი ბიზნესისთვის სულაც არ წარმოადგენს სახარბიელო ფაქტორს.

27 მაისიდან მოიმატა საწვავზე ფასებმა „გალფშიც“. კომპანიის წარმომადგენლის, ნინო ჯიბლაძის ინფორმაციით, ფასმა ყველა პროდუქტზე 2-დან 4 თეთრამდე მოიმატა.

— გუშინ ყველა პროდუქტზე 2-4 თეთრით მოიმატა ფასებმა , — აღნიშნა ნინო ჯიბლაძემ.

ბიპიენი

# თბილისის აეროპორტის ასაფრენი ზოლის რეაბილიტაცია სექტემბრიდან დაიწყება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიის TAV Airports Holding-ის პრეზიდენტ სანი შენერს შეხვდა.

შეხვედრაზე საუბრის მთავარი თემა, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის შემდგომი განვითარება, ასაფრენ-დასაფრენი ზოლის და ტერმინალის რეაბილიტაცია იყო.

აღინიშნა, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ასაფრენი ზოლის რეაბილიტაცია სექტემბრიდან დაიწყება და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განხორციელდება.

ღარიბაშვილის განცხადებით, საქართველოს მთავრობა მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიის ინვესტიციებს და მასთან შეთანხმების განახლებული ვერსიის ხელმოწერას, რაც ორწლიანი წარმატებული მოლაპარაკებების შედეგად გახდა შესაძლებელი, — მიესალმება.

პრემიერის პრეს-სამსახურის ცნობით, საქართველოს მთავრობის ორწლიანი ნაყოფიერი მუშაობის შედეგად, წამყვანი იურიდიული კომპანიების ჩართულობით, TAV Airports Holding-თან ხელი საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით შედგენილ ხელშეკრულებას მოეწერა, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი სამუშაოები, რომელიც TAV Airports Holding-მა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში უნდა შეასრულოს.

ტავ გეორგია საქართველოში ინვესტირებას განაგრძობს, ხოლო აეროპორტის ოპერირების ვადა, კომპანიას 2027 წლამდე განესაზღვრა.

ნიუსპრესი

# დედამიწას ლუდი ატრიალებს ანუ ფაქტები მსოფლიოს გარშემო



ლუდი — ეს დამეგობრების, მხიარულებისა და თავგადასავლების უებარი და თან უგემრიელესი საშუალებაა. სწორედ ამიტომ ამ ალოჰოლურ სასმელს ყველაზე მეტი მომხმარებელი ჰყავს მთელს მსოფლიოში. ასე რომ, არ გაგიკვირდეთ, თუკი ამ პოსტში ბევრ უცნაურობას გაიგებთ ლუდის შესახებ. მთავარია, რომ ყველა მათგანი რეალურად არსებული ფაქტია!

ყველაფერი შუმერეთიდან დაიწყო. დიახ, სწორედ ამ ხალხს უნდა ვუმადლოდეთ ლუდის პირველი რეცეპტის შექმნას, რომელიც უკვე 4000 წელს ითვლის.

შუმერებს არ ჩამორჩნენ ეგვიპტელებიც, რომლებიც პირამიდებზე მომუშავეებს დღეში დაახლოებით 4 ლიტრ ლუდს „უხდიდნენ“. საერთოდაც, ლუდი ეგვიპტეში ერთგვარი ეროვნული ვალუტა იყო.

ამ ტენდენციას დღემდე მისდევენ ამსტერდამში, სადაც ალკოჰოლიკებს ქუჩების დასუფთავებისთვის, ფულად კომპენსაციასთან ერთად, დღეში 5 ქილა ლუდს „უხდიან“.

ფინეთიც აქვეა: „ცოლების ზიდვის მსოფლიო ჩემპიონატში“ გამარჯვებულ ქმარს თავისი მეუღლის წონის იდენტური რაოდენობის ლუდით აჯილოდებენ.

შუა საუკუნეებში ლუდს წყალზე მეტად მოიხმარდნენ, ვინაიდან წყალი იმ დროს მრავალი დაავადების მატარებელი იყო, ლუდში შემავალი ალკოჰოლი კი სითხეს უსაფრთხოს ხდიდა.

აი, ამერიკის პირველი პრეზიდენტი ჯორჯ ვაშინგტონი ლუდს ისე ეტრფიალებოდა, რომ საკუთარი ლუდსახარშიც კი ჰქონდა მაუნტ ვერნონში.

არგენტინელები უფრო შორს წავიდნენ: აქ პოლიტიკურ პარტიებს თავიანთი ლუდის ბრენდები აქვთ.

წარმოიდგინეთ, 1814 წელს, რა ამბავი ატყდებოდა ლონდონში, როცა ლუდის ვეებერთელა კასრი გასკდა და 1400 ლიტრი ეს ღვთაებრივი სითხე ქალაქის ქუჩებში მიმოიფანტა. ამრიგად, ყველაზე გემრიელი „ცუნამიც“ ლუდს უკავშირდება.

როგორც ამტკიცებენ, ლუდის ზომიერი მოხმარება ხელს უშლის გულის დაავადებების განვითარებასა და მეხსიერების შეფერხებას.

ცნობისთვის, დროის ნებისმიერ მონაკვეთში მსოფლიოს მოსახლეობის 0,7% ნასვამ მდგომარეობაშია, ასე რომ, ახლა, როცა ამ პოსტს კითხულობთ, იცოდეთ რომ 50 მილიონი ადამიანი თავს ძააააააალიან კარგად გრძნობს. თუმცა, შეგახსენებთ, რომ ასეთ მდგომარეობაში საჭესთან არ უნდა დაჯდეთ.

სხვათა შორის, უპრიანია, ლუდისმოყვარულებმა ვიცოდეთ ჩვენი სისუსტეების შესახებ: ცენოსილიკაფობია ცარიელი ლუდის ჭიქის შიშს ნიშნავს. ამიტომ, როგორც კი სასმისს გამოვცლით, დაუყოვნებლივ უნდა ავავსოთ.

ბელგიაში კი 1970 წლამდე სკოლებში დაბალალკოჰოლიანი შემცველობის ლუდის (table beer) მოხმარება დაშვებული იყო.

თუკი 61 ან მეტ ქილა ლუდს დალევთ, თქვენ, შესაძლოა, ნაბახუსევის რეკორდი მოხსნათ. ყველაზე ხანგრძლივი ნაბახუსევი კი 4 კვირას გაგრძელდა, ვინაიდან ერთმა შოტლანდიელმა 60 ქილა ლუდი გამოცალა.

რახან რეკორდებზე ვსაუბრობთ, აქვე გეტყვით, რომ ყველაზე დიდი დოზით ალკოჰოლის კონცენტრაცია ლუდში დაფიქსირებულია 67,5% და ყოჩაღ მას, ვინც ასეთ ლუდს სვამს.

ლუდის სიყვარულით, ადამიანების გარდა, ლოქორები გამოირჩევიან, თურმე.

აფრიკაში ლუდი ძალიან უყვართ, მაგრამ აბა სად არის ამდენი ქერის ალაო და სვია? ამიტომ იქ ბანანისგან დამზადებულ ლუდსაც შეხვდებით.

აი, ასეთი სიჭრელით გამოირჩევა მსოფლიოს ეს ნომერ პირველი სასმელი, რომელიც ათასწლეულებია, კაცობრიობის გაკეთილშობილებაზე ზრუნავს. დაბოლოს, მე მევლუდი ქაფიანიძე გახლავართ, კავკასიის ლუდის შვილი, და ძალიან გამიხარდება, თუკი ჩემი ჩანაწერებიდან მინიმუმ ერთ საინტერესო სიახლეს მაინც გაიგებთ. შემოიხედეთ ხოლმე.

# ლია ბედოშვილს



შალვა ყარმაზანაშვილი

ლია, მიყვარხართ მთელი ბედოშვილები, სოფელი ბედოითი. ამ სიყვარულთან ერთად მინდა, ჩემი გულისტკივილი გადმოგცე. საბჭოთა კავშირში მილიციის თანამშრომელმა პირველმა პირველად ლეგალურად ხმა ავიმაღლე საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, ნეიტრალური რომ ყოფილიყო ჩემი სამშობლო. რუსეთის ლანძღვაგინებისთვის ერთი სიტყვაც არ მითქვამს. რუსეთიც მინდა და ევროპაც. არავის არაფერს ვთხოვ, მე ჩემსას მოვითხოვ.

1992 წელს მოსკოვში ჩავატარეთ აქცია — შიმშილობა გამოვაცხადეთ პირგაკერილებმა საქართველოს დამოუკიდებლად გამოყოფის შესახებ. საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პავლოვი იყო, შს მინისტრი — ბაკატინი. მათ მიგვიწვიეს სასაუბროდ აქციის რამდენიმე მონაწილე. ლაპარაკის დროს ისინი გვეხვეწებოდნენ, ქართველებო, თქვენ გაჩუმდით, ჭკვიანად იყავით, რასაც იტყვით, ყველაფერს შეგისრულებთო. ბაკატინმა თავზე ხელი გადაისვა — ასე გაცხოვრებთო. ჩვენ ვუპასუხეთ, ცალკე გვინდაო. კარგი, წადით და, რასაც მოიგებთ, იმით იტრაბახეთო. წამოვედით განაწყენებულები. წამოვედით და ისევ რუსებს დავუწყეთ ლანძღვა-გინება. ალბათ, ბევრს ახსოვს, ზოგიერთმა ეროვნულმა ლიდერმა გამოაცხადა, რუსეთს ომი დავუწყოთო. დავუწყეთ და დაიკარგა აფხაზეთი, სამაჩაბლო. სისხლად დაიცალა ათასობით ახალგაზრდა ქალი და კაცი, მოხუცი და ბავშვი. ლტოლვილად იქცა ლტოლვილი და ულტოლვილო, უსახლკაროდ იქცა სახლიანი და უსახლკარო. დღეს კარგად ვხედავთ, რას ჰგავს საქართველო, პარტია პარტიას არ ჰგავს, მთავრობა — მთავრობას. კანონის მედლებს ერთი მხარე აქვს. რუსებმა ბერლინი და პარიზი რამდენჯერმე აიღეს, კარგად ვიცით. ვაშინგტონსაც აიღებენ, თუ ამერიკა და ევროპა არ გაჩერდებიან. ეომები მაგათ. რუსებს მავთულხლართები თბილისთან ახლოს აქვთ, იტაცებენ ჩვენს მცხოვრებლებს. ხმა ამოიღოს ევროპამ, ამერიკამ. მავთულხლართების გამო თანამემამულეებს არ შეუძლიათ თავიანთ მიწაზე თავიანთი მკვდრების საფლავებზე მივიდნენ, დაიტირონ. ისინი აღშფოთებულები არიან. ჰო... ჰო... გაკეთებულა საქმე. მე 77 წლის ვარ და ყველას გასაგონად ვამბობ, რუსეთი საქართველოს, სტალინს არავის დაუთმობს. მაგათ ეომები. ბედოშვილები მტერს პურმარილით, სიკეთით ამარცხებდნენ. შენ კი, ჩემო ლია, ჩხუბი გინდა. არა, ეგრე არ გამოვა. რუსეთს ჩხუბით ვერც ევროპა და ამერიკა ვერაფერს დააკლებს. დანარჩენი შემდგომში.

*ეროვნული მოძრაობის შრომის,*
*ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, გადამდგარი პოლკოვნიკი*

**შალვა ყარმაზანაშვილი**

**დუშეთის რაიონი, სოფელი ციხისძირი, ტელეფონი: 593-27-25-74**

## გიორგი ბერუაშვილის ოჯახის წევრები იმ ბინაში მივიდნენ, რომლის გასაღები შს მინისტრმა გადასცა



სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული პოლიციელის — გიორგი ბერუაშვილის ოჯახის წევრები დღეს იმ ბინაში მივიდნენ, რომლის გასაღები მათ შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა გუშინ ბორჯომში, გიორგი ბერუაშვილის სახელობის სკვერისა და მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალის გახსნის ცერემონიაზე პირადად გადასცა. კეთილმოწყობილი, ყველა საჭირო ავეჯითა და ტექნიკით აღჭურვილი საცხოვრებელი ბინა თბილისში, დიდ დიღომში მდებარეობს.

## შსს-მ უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყე ამოიღო და უკანონო სახერხი საამქროები დალუქა

შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ადიგენის, ახალციხის და ბორჯომის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1976 წელს დაბადებული მალხაზ ხ. სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის არამიზნობრივი გამოყენების, ხე-ტყის ტრანსპორტირების მოთხოვნათა დარღვევის და ნორმატიული აქტით დადგენილი, ხე-ტყის პირველადი გადამამუშავებელი ობიექტის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევის ფაქტებზე, 1967 წელს დაბადებული რამაზ გ, 1961 წელს დაბადებული დავით გ, 1977 წელს დაბადებული ალექსანდრე გ, 1981 წელს დაბადებული ვასილ ბ, 1984 წელს დაბადებული გიორგი ბ. და 1990 წელს დაბადებული თეიმურაზ დ. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევით ტყითსარგებლობის ფაქტზე, ხოლო 1984 წელს დაბადებული ალექსი თ. და 1966 წელს დაბადებული დავით ც. ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის ფაქტზე ამხილეს.

სამართალდამცველებმა ადიგენის რაიონის სოფელ მლაშესა და ბორჯომის რაიონის სოფელ ტაძრისში უკანონოდ მოჭრილი, სარეალიზაციოდ გამზადებული, წიწვოვანი ჯიშის, 21 ცალი, 3 მეტრის სიგრძის სამასალე მერქანი ამოიღეს. ბორჯომის რაიონის დაბა ბაკურიანში — თეიმურაზ დ-ს მართვის ქვეშ მყოფი სატვირთო ავტომანქანიდან ამოღებულია უკანონოდ მოჭრილი, წიფლის ჯიშის 5 კუბ.მეტრი სამასალე მერქანი. სამართალდამცველებმა ბორჯომის რაიონის სოფელ პატარა მიტარბში უკანონოდ მოპოვებული, წიწვოვანი ჯიშის, 4 მეტრი სიგრძის 8 მორი, ბორჯომის რაიონის სოფელ ჭობისხევში — ასევე უკანონოდ მოპოვებული, ნაძვის და ფიჭვის, 5 მეტრი სიგრძის 145 ცალი დახერხილი ფიცარი და დასახერხად გამზადებული 5 მეტრის სიგრძის 10 მორი, ხოლო ახალციხის რაიონის სოფელ ტატანისის მიმდებარე ტერიტორიიდან — უკანონოდ მოჭრილი, სარეალიზაციოდ გამზადებული, 35 ცალი ნაძვის და ფიჭვის ჯიშის სამასალე მერქანი ამოიღეს და უკანონო სახერხი საამქროები დალუქეს.

გამოძიება სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის არამიზნობრივი გამოყენების, ხე-ტყის ტრანსპორტირების მოთხოვნათა დარღვევის და ნორმატიული აქტით დადგენილი, ხე-ტყის პირველადი გადამამუშავებელი ობიექტის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევის და ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 66-ე პრიმა, 128-ე პრიმა მუხლის მე-3 ნაწილის, 128-ე პრიმა მუხლის მე-4 ნაწილით და საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

# აიათოლა ხომეინის პოლიტიკური პორტრეტი

XX საუკუნის 70-იანი წლების დამლევს მომხდარი ირანის რევოლუცია მიეკუთვნება ისეთ მოვლენებს, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მთელი მსოფლიოს საერთაშორისო ურთიერთობებსა და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე.

ამ რევოლუციის შედეგად ირანში დაემხო შაჰის რეჟიმი და საფუძველი ჩაეყარა სრულიად ახალი ტიპის სახელმწიფოს არსებობას ახლო აღმოსავლეთში, რომელშიც შერწყმულია ისლამურ-შიიტური სამართლებრივი კონცეფციები თანამედროვე სახელმწიფოებრივი მოწყობის ელემენტებთან .

მონარქიის წინააღმდეგ ბრძოლაში შიიტური პოლიტიკური ტრადიციების თანახმად აქტიურად მონაწილეობდა ირანის მუსლიმური სამღვდელოება.

ირანის უკანასკნელი შაჰი მოჯამედ რეზა ფეჰლევი მკაცრად ზღუდავდა მუსლიმ ღვთის მსახურთა საქმიანობას. კონტროლს უწესებდა შიიტური ორგანიზაციების საქმიანობაზე. 70-იანი წლების შუა ხანებიდან შიიტური სასულიერო ფენა ირანში ერთი რეგალური ოპოზიციური ძალა იყო, რომლებმაც თავიანთი დაწესებულებები-მედრესეები, წმინდა იმამების აკლდამები და მეჩეთები შაჰის წინააღმდეგ საბრძოლველად აქცია. შიიტურ სამღვდელოებას სათავეში შიიტთა ლიდერი აიათოლა რუჰოლა ალ-მუსავი ალ-ხომეინი ჩაუდგა სათავეში.

აიათოლა ხომეინი პოლიტიკურ არენაზე 1960 წელს აღმოჩნდა. მისი პოპულარობის ზრდის, განსწავლულობის და სამართლიანობისათვის მას აიათოლა (ალაჰის საოცრება) შეარქვეს. შაჰის საწინააღმდეგო გამოსვლების გამოის 1964 წელს დააპატიმრეს და ირანიდან გააძევეს. ამ დროიათვის მას უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა არა ერთი გამოკვლევა სპარსული და არაბულ ენებზე არა ერთი გამოკვლევა ისლამური გნოსეოლოგიის, ეთიკის, ფილოსოფიის, სამართალმცოდნეობის სახელმწიფოს მართვის თეორიის და სხვა დარგების შესახებ.

მის ადრეულ პოლიტიკურ დეკლარაციებში არ არის მოწოდებები რევოლუციისაკენ. არის მხოლოდ მოთხოვნა, უფრო თხოვნა, რომ ხელისუფლებამ შეცვალოს მმართველობის გეზი და ფორმა. როცა ხომეინი ლიაოპოზიციაში ჩაუდგა ფეჰლევიანებს, ეს იყო იმ მიზეზით, რომ იგი მოითხოვდა უცხოელთათვის მინიჭებული პრივილეგიების გაუქმებას. ამავე დროს ანგარიში გაეწიათ სამღვდელოებისათვის სასიცოცხლო პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტისას. მას იმ პერიოდში არ ჰქონდა ჩამოყალიბებული არც მკაფიო სამოქმედო პროგრამა და არც ისლამური რესპუბლიკის კონცეფცია. იგი უპირველასად მოითხოვდა ისლამური თვალსაზრისით არასწორი და ულემებისათვის არასასურველი რეფორმების შეწყვეტას.

უკომპრომისო ხომერის „იმიჯის“ შექმნაზე განსაკუთრებული როლი შეასრულა მისმა დაპატიმრებამ დაპატიმრებამ და შემდგომ ირანიდან გაძევებამ. შაჰხმა მუჰამედ რეზამ ხომეინის განდევნით ქვეყნიდან იგი მორწმუნე ირანელებისადმი გმირად აქცია.

პირველმა კონფრონტაციამ ხომეინისა ხელისუფლებასთან გამოაჩინა მისი სოფლმხვედველობა. ასევე გამოვლინდა ხომეინის, როგორც ტაქტიკოსისა და ქარიზმატულ ლიდერის თვისებები.

ხომეინი ქადაგებდა საერო და სასულიერო ხელისუფლების ერთიანობას და მუსლიმ ღვთის მსახურებს მოუწოდებდა არა მარტო აქტიურად ჩაბმულიყვნენ ირანის საზოგადოებრვ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, არამედ კონტროლი გაეწიათ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკისათვის.

ხომეინის მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თეორატიის, რელიგიისა და პოლიტიკის განუყოფლობას, საერო და სასულიერო საწყისების ერთიანობის საკითხს.

აიათოლა რუჰოლა ალ-მუსავი ალ ხომეინის ფენომენის შეფასებასთან დაკავშირებით როგორც ირანში, ისე მის ფარგლებს გარეთ საკმაოდ ბევრი დაიწერა. მის პიროვნებას ურთიერთგამომრიცხავ შეფასებას აძლევენ. ზოგი მის იდიალისტურ-მისტიკური შტრიხებით წარმოსახავს.

ზოგი ცდილობს მისი პოლიტიკური პორტრეტი დროისა და ისტორიული პირობების ჭრილში დახატოს. ნაწილი კი 70-იანი წლების დასასრულს ირანში მომხდარ სახალხო მოძრაობას, რომელიც ხომეინის უშუალო ხელმძღვანელობით წარიმართა, რელიგიურ სამოსელთან ერთად მკვეთრად გამოხატული ანტიმონარქიული, ანტივესტერნული თვისებებით წარმოაჩენს.

ამ პოზიციაზე მყოფნი არც იმას უარყოფენ, რომ ეს საერთო სახალხო უკმაყოფილება ქვეყანაში მწვავე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების ძლიერი ანარეკლი რომ იყო. მან შაჰის ავტორიტარული რეჟიმის მიერ გატარებული სეკულარიზაციის პირობებში. რელიგიურ პოლიტიკური მიმართულება მიიღო.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ამერიკის ბრიუნის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის პროფესორის უილიამ ბირმანის აზრი. ის აიათოლა ზომეინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით 1989 წელს (ხომეინი ამ წელს გარდაცვალა) გამოქვეყნებულ სტატიაში, „ათი წელი, რომელმაც მსოფლიო შეძრა“ ის წერდა; (ხომეინისა და წინასწარმეტყველ მუჰამადის ცხოვრებაში შეიძება საერთო მომენტები შევნიშნოთ. ძლიერი რელიგიური რწმენის ამ ფიზიკურად სუსტმა დროულმა კაცმა, რომლის იდეებს დასავლეთი ყავლ-გასულს და შუასაუკუნეობრივს უწოდებდა, ის შეძლო რამაც მნიშვნელოვნად შეაზანზარა მთელი მსოფლიო“) იმავე სტატიაში უილიამ ბირმანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რევოლუციის მსვლელობაში და მის შემდგომ მართულ 10 წელიწადში „ხომეინიმ გააქარწყლა დასავლთის მტკიცება იმის შესახებ, რომ რადგან მსოფლიოში სიტუაციებს მხოლოდ პოლიტიკა და სამხედრო ძალა განსაზღვრავს, რელიგიას არ ძალუძს მართოს თანამედროვე საზოგადოება. დიდ სახელმწიფოებთან თავის ბრძოლაში ხომეინი ვაშინგტონსა და მოსკოვს დაუპირისპირდა და გაიმარჯვა.“

ისლამის პოლიტიზაციაზე მსჯელობისას, ბუნებრივია, პირველ რიგში ამოტივტივტება აიათოლა რუჰოლა ხომეინის სახელი. სწორედ მან მოახერხა კლერიკალური პოლიტიზებული ისლამის ჩამოყალიბება და მისთვის რევოლუციური ხასიათის მინიჭება, გახდა ისლამური რევოლუციის ქარიზმატიული ლიდერი და მთელი მსოფლიო დააყენა სრულიად ახალი და მანამდე პრაქტიკულად არაპროგნოზირებული რეალობის, ირანში ისლამური მმართველობის დამყარების ფაქტის წინაშე.

ხომეინის თანდათანობით უყალიბდება ფაჰლავიანთა მონარქიის „ისტორიის სანაგვეზე“ გადაგდების მოთხოვნა. მის ნააზრევში ულემების პოლიტიკური ხელისუფლების თემამ წინ წამოიწია 70-იან წლებში. ამასთან დაკავშირებით კი განსაკუთრებით მძაფრი ფორმა მიიღო მისმა ანტიმონარქისტულმა განწყობამ: „ისლამი მონარქიის პრინციპს არაკანონიერად აცხადებს“, წერდა იგი.

მისთვის მიუღებელი იყო როგორც დასავლეთი, ისე კომუნისტური სისტემა. ხომეინი აღნიშნავს, „თუკი ახალგაზრდობა გააცნობიერებს ისლამური მმართველობის მიზნებს... ტირანული და კოლონიური სახელმწიფოების საყრდენი — მცდარი კომუნისტური და მისი მსგავსი სკოლები, ავტომატურად დაემხობიან.“

ემიგრაციაში 15 წლის ცხოვრების მანძილზე ხომეინის სალაროში უზარმაზარი თანხები შემოდიოდა. ცალკეულ წლებში ხუმსისა და ზაქათის რაოდენობა, რომელსაც შიიტები აგროვებდნენ და უგზავნიდნენ ნაჯაფში ხომეინის აღწევდა 25 მლნ. დოლარს. მიღებულ თანხის ნაწილს ხომეინი ხარჯავდა ღარიბი მოლებისა და მედრესეს სტუდენტებისათვის, მაგრამ „ხომეინის ფონდის“ მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯებოდა პროპაგანდისტული მასალების შესაქმნელად და მათ გასავრცელებლად ირანში, აგრეთვე „ძალოვანი ცენტრის“ — შაჰის რეჟიმის წინააღმდეგ მომავალი ბრძოლებისათვის იატაკქვეშა რაზმების შესაქმნელად. მთავარ ფინანსურ დონორ ბაზრის სისტემა წარმოადგენდა, რომელიც სამღვდელოების შემოსავლის 80%-მდე იძლეოდა რელიგიური გადასახადების, ნებაყოფლობითი შემოწირულობების, ძღვენის და ა.შ. სახით. ამ შემოსავლის მასშტაბებზე ზემოთ უკვე იყო ლაპარაკი.

ხომეინი 1963-78 წლებში „ჩრდილში“ სულაც არ იდგა და არ იყო დაკავებული მხოლოდ თეორიული საკითხების დამუშავებით. შესაძლებელია იგი სხვა ისლამისტებზე ნაკლებად ჩანდა, მაგრამ ხომეინი შეძლებისდაგვარად აქტიურობდა და საკუთარ აზრს, რომელსაც ირანში საკმაო წონა გააჩნდა, გამოთქვამდა ნებისმიერი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხთან დაკავშირებით.

სწორედ ამ პერიოდში იქმნება ხომეინის მთავარი ნაშრომი, რომლის იდეებიც დაედო საფუძვლად ისლამური რესპუბლიკას. ეს ნაშრომი წარმოადგენდა ხომეინის ორი თეოლოგი სტუდენტის (კერძოდ ჯალალოდ-დინ ფარსისა და ჰამიდ რუჰანის) მიერ 1971 წ. ხომეინის ნაჯაფში წაკითხული ლექციების ჩანაწერს და იყო ხომეინის პოლიტიკური აზროვნების რადიკალიზაციის ნაყოფი 1964 წ. ირანიდან მისი გაძევების შემდეგ. სწორედ ამ ნაშრომშია ჩამოყალიბებული ველაიათ-ე ფაყიჰის კონცეფცია.

ხომეინიმ ამ ლექციაცებში მოახდინა სამღვდელოების თეოკრატიული ძალაუფლების პრინციპების სისტემატიზაცია და ველაიათ-ე ფაყიჰი გახდა 1979 წ. ირანის კონსტიტუციის საფუძველი.

ხომეინი მეთოდურად, ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდა კლერიკალური მმართველობის პრინციპების ჩამოყალიბებას და ფაყიჰთა უზენაესობის აღიარებას პოლიტიკის სფეროში „ნათელია, რომ ფაყიჰები მბრძანებლობენ სულთნებზე. თუ სულთნები მუსლიმები არიან, ისინი უნდა დაემორჩილონ ფაყიჰს და მიმართონ მას კითხვებით კანონების შესახებ მათ განხორციელებამდე, ვინაიდან ჭეშმარიტი ხელისუფალნი სწორედ ფაყიჰები არიან. ამდენად, სუვერენობა ეკუთვნით ფაყიჰებს.

ხომეინი თანდათანობით აყალიბებდა თუ როგორი იქნებოდა პრაქტიკულად ისლამური მმართველობა. მაგრამ აცხადებდა, რომ ყურანის, ახბარებისა და შუა საუკუნეების. ხომეინის მიერ ჩამოყალიბებული კონცეფციიდან გამომდინარე, ისლამური რევოლუცია ირანში არ წარმოადგენდა მხოლოდ პოლიტიკური და სოციალური ხასიათის მოვლენას. ეს ასევე იყო რევოლუცია შიიზმშიც — მოხდა უზენაესი რელიგიური ავტორიტეტის შიიტური თეორიის რადიკალური ტრანსფორმაცია.

ისლამური რევოლოციის გამარჯვების შემდეგ ხომეინის მიეცა შესაძლებლობა რეალურად განეხორციელებინა მის მიერ შექმნილი ისლამური მმართველობის პრინციპები და ფაქტობრივად შექმნა უკიდურესად ავტორიტარული ტიპის მმართველობის სისტემა. ამ სისტემაში არსებული ხელისუფლების პირამიდის მწვერვალზე ველაიათ-ე ფაყიჰი — თავად ხომეინი იდგა, რომელიც ფაქტობრივად გაცილებით უფრო დიდი ძალაუფლებით იყო აღჭურვილი, ვიდრე თავის დროზე შაჰი.

მ. ვებერის თანახმად, ისლამური სამყარონის ისლამურმა არო საერთოდ მიდრეკილი ქარიზმატიული კანონები პოლიტიკური ხასიათისაა.“ თვითონ ხომეინის შეხედულებითაც „ყველაფერი, რაც ისლამშია, პოლიტიკურია.“ ისლამში რელიგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებული კანონების დიდი ნაწილი წარმოადგენენ სოციალური და პოლიტიკური ორგანიზების საფუძველს. ამგვარად საერთო ლოცვას, თავშეყრას მექაში და პარასკევის ლოცვას, გააჩნიათ რა სულიერი, მორალური და იდეოლოგიური ფასეულობა პოლიტიკური ელემენტებსაც შეიცავენ.“ ხომეინისათვის ხალხს, საზოგადოების ორგანიზებისათვის ესაჭიროება ვინმე, ვისაც გააჩნია ქარიზმა, ვინც გამორჩეულია ღვთაებრივი ზეშთაგონებით, სამართლიანობის გრძნობით, გამოცდილებით, სიმამაცით, ღმერთის კანონის — შარი ათის ცოდნით.

მოსადეყის შემდეგ ხომეინი გახდა ირანის უახლეს ისტორიაში მეორე ქარიზმატული ლიდერი. შეიძლება დავასკვნათ, რომ ორი ტრადიციული ხელისუფლების ტიპის შერწყმით „ირანში ძალა შეიძინა არა ლეგალურ-რაციონალურმა ხელისუფლებამ, არამედ წარმოიქმნა სრულიად ახალი, ქარიზმაზე დამყარებული ხელისუფლება.“

ხომეინის ისლამი ესმის უფრო პოლიტიკური, ვიდრე რელიგიური და ეთიკური მნიშვნელობით, როგორც სიმბოლო და საფუძველი კოლექტიური იდენტურობისა, უცხოელთა დომინირებისა და კონტროლისათვის დაპირისპირების წყარო.

**მაია კაპანაძე**

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი***

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

# ბაციაშვილი ერთპიროვნულად ლიდერობს



ქართველი მოჭადრაკეებისათვის წარმატებულად წარიმართა ჩაქვში მიმდინარე ევროპის ქალთა პირველობის მერვე ტური.

ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა ნინო ბაციაშვილმა უშუალო კონკურენტი, საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული რუსი ოლგა გირია დაამარცხა და კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერის პოზიცია.

მოჭადრაკეებმა სლავური დაცვა გათამაშდა და ბათუმელმა დიდოსტატმა თავიდანვე ხელთ იგდო უპირატესობა. შუა თამაშში ნინომ კარგად ისარგებლა მეტოქის უზუსტობებით და 30-ე სვლისთვის გადამწყვეტი უპირატესობაც მოიპოვა. ამ გამარჯვებით ბაციაშვილმა ერთ ქულამდე გაზარდა სხვაობა უშუალო მდევართან, ევროპის ექსჩემპიონ უკრაინელ ნატალია ჟუკოვასთან.

ასევე პრინციპული გამარჯვება მოიპოვა ჩემპიონატის კიდევ ერთმა ბათუმელმა დიდოსტატმა სალომე მელიამ, რომელმაც შავი ფიგურებით სომხეთის ნაკრების წევრი ლილიტ გალოიანი დაამარცხა. სალომეს თეთრებმა ძველინდურ წყობას პასიური გაგრძელება შეაგებეს და მეტოქის უზუსტო თამაში კარგად გამოიყენა ჩვენებურმა.

პრინციპული გამარჯვებები მოიპოვეს მერი არაბიძემ მსოფლიოს ექსჩემპიონ ანტუანეტა სტეფანოვასთან (ბულგარეთი) და ბელა ხოტენაშვილმა ანასტასია სავინასთან (რუსეთი) პარტიაში.

მომდევნო ტურში საინტერესო და პრინციპული ჩემპიონობისათვის ბრძოლაში ორი ბათუმელი მოჭადრაკის დაპირისპირება იქნება. თეთრი ფიგურებით სალომე მელია იასპარეზებს ნინო ბაციაშვილთან შეხვედრაში.

ჩემპიონატს 8 ტურის შემდეგ 7,5 ქულით ნინო ბაციაშვილი ლიდერობს. 6,5 ქულა დააგროვა ნატალია ჟუკოვამ.

6-6 ქულით მე-3-4 ადგილებს რუმინელი მიქაელა სანდუ და სალომე მელია ინაწილებენ.

ევროპის ქალთა რიგით მე-16 პირველობაზე 19 ქვეყნის 98 მოჭადრაკე ასპარეზობს და ის შვეიცარიული სისტემით 11 ტურად ტარდება.

ჩემპიონატის საპრიზო ფონდი 60.000 ევროს შეადგენს და 31 მაისამდე გასტანს. ევროპის ჩემპიონატში 1-14 ადგილზე გასული მონაწილეები ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს მოიპოვებენ.

# ლოკომოტივი უმაღლესშია, ელიტა მესამე ჩემპიონმა დატოვა

## მეტალურგი _ ლოკომოტივი 0:5

 თბილისი. მიხეილ მესხი

0:1 ნარიმანიძე (16ს.პ), 0:2 გავაშელიშვილი (29), 0:3, 0:4 გაგნიძე (50პ, 54), 0:5 ჩიხლაძე (75)

**მეტალურგი:** ნადირაძე, ჩიკვაიძე, ზვიადაძე, შუშიაშვილი, ნარიმანიძე (ბიწკინაშვილი 46), გაბაშვილი (ბარამიძე 56), კ.ხიზანეიშვილი (ციცქიშვილი 44), მინდორაშვილი, ბერუაშვილი, ბარაბაძე, სარიშვილი

**ლოკომოტივი:** მიქავა, ჩიტეიშვილი (მაკასარაშვილი 56), სანდოხაძე, კიკნაძე, არაბიძე, უბილავა, დიასამიძე, სულთანიშვილი, გაგნიძე, მამია გავაშელიშვილი (ღვინაშვილი 74) სამურკასოვი (ჩიხლაძე 64)

თბილისის „ლოკომოტივი" 5-წლიანი პაუზის შემდეგ უმაღლეს ლიგაში დაბრუნდა, ხოლო წელს ელიტას მესამე საქართველოს ჩემპიონი გამოემშვიდობა — „ზესტაფონისა" და „ვიტ ჯორჯიას" კვალს „მეტალურგიც" გაჰყვა.

საერთოდ უცნობია „მეტალურგის" მომავალი — გუნდს ლიცენზირების საკითხიც კი არ შეუტანია. სამაგიეროდ, ახალგაზრდული „ლოკომოტივი" მომავალი წლიდან უმაღლესში ითამაშებს.

„მეტალურგს" თავისი გაჭირვება ეყოფოდა, გიორგი ნარიმაძეს რომ არ დაემატებინა და ბურთი საკუთარ კარში არ გაეტანა. ასე გახსნა ანგარიში.

შემდეგი გოლი მამია გავაშელიშვილის იყო, რომელიც მისთვის ამ სეზონში 46-ე გამოდგა. მართლაც ჩინებული შედეგია, იმის მიუხედავად, რომ ეს ყველაფერი პირველ ლიგაში მოხდა. გავაშელიშვილი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშია მიწვეული.

მეორე ტაიმის დასაწყისში გიორგი გაგნიძემ დუბლი შეასრულა — ჯერ 11 მეტრიდან გაიტანა, შემდეგ ჯარიმა ორჯერ მეტი მანძილიდან.

75-ე წუთზე წერტილი ჩიხლაძემ დასვა — 0:5.

# მზარდი საქართველო თბილისის თასამდე უელსელებს გაეჯიბრება

**სარაგბო 2015 წელი სავსეა სხვადასხვა ტესტ თუ ამხანაგური მატჩით. წინ მსოფლიო თასია, ხოლო მანამდე კი „ავჭალის" სტადიონი 13, 17 და 21 ივნისს „მსოფლიო რაგბის" ყოველწლიურ ტურნირს — თბილისის თასს უმასპინძლებს, რომელსაც „ბორჯღალოსნების" სამწვრთნელო შტაბი მსოფლიოსთვის მოსამზადებელ ერთ-ერთ ეტაპად განიხილავს. წლევანდელ ტურნირში ჩვენი ნაკრები ურუგვაის, მზარდ ირლანდიასა და იტალიას ეთამაშება.**




თბილისის თასის წლევანდელ გათამაშებამდე ერთი კვირით ადრე საქართველოში რაგბის საზაფხულო სეზონს მზარდი საქართველოს ნაკრები გახსნის. შარშან გუნდმა ინგლისის საგრაფოთა ნაკრებს უმასპინძლა, ხოლო წლეულს ორმატჩიან სერიაში უელსურ „ქროშეიზს" დაუპირისპირდება (უელსის რაგბის კავშირის პრეზიდენტის 15-ეული). მატჩები 3 და 6 ივნისს რუსთავის სარაგბო სტადიონზე გაიმართება.

**გიორგი ნიჟარაძე, რაგბის კავშირის პრეზიდენტი:**

— ტრადიციულად, ზაფხულში მზარდი საქართველო ორ თამაშს მართავს, რომელიც წინ უსწრებს თბილისის თასს. ეს არის კიდევ ერთი, არაჩვეულებრივი საშუალება იმისა, რომ ჩვენი უახლოესი რეზერვი საქმეში შევამოწმოთ. „ქროშეიზი" საკმაოდ ძლიერი გუნდია. პრაქტიკულად, უელსის შიდა ჩემპიონატის ნაკრებს წარმოადგენს და, ცხადია, ძალიან ძლიერი და ჩვენთვის სასარგებლო მეტოქე იქნება. ვფიქრობ, ორი ძალიან საინტერესო მატჩი გველის. სამწუხაროდ, თბილისის სარაგბო სტადიონებზე ივნისის ტურნირისა და ნაკრების სამსოფლიო შეკრებისთვის მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს და, აქედან გამომდინარე, ორივე თამაში რუსთავში გაიმართება. ვფიქრობ, რაგბის ადგილობრივ გულშემატკივრებთან ერთად თბილისიდანაც ბევრი ქომაგი ჩავა და მაღალი დონის რაგბით ისიამოვნებენ.

„ქროშეიზი" უელსური გუნდია, რომელიც 1922 წელს უელსელმა სამხედრო მოსამსახურე ჯოფრი ქროშეიზმა ინგლისურ სამხედრო ნაწილებთან სათამაშოდ შექმნა. მას შემდეგ გუნდი ტურნეებს მთელ მსოფლიოში მართავს. მზარდ საქართველოსთან სათამაშოდ კლუბი უელსის შიდა პირველობის სელექციით იქნება წარმოდგენილი, რომელსაც ინგლისში მოთამაშე ორი მორაგბე დაემატება. უელსის რაგბის კავშირის განცხადებით, ეს ტურნე განიხილება, როგორც კარგი შესაძლებლობა უელსსა და საქართველოს შორის არსებული კავშირების გამყარებისათვის.

**დენის გეთინი, უელსის რაგბის კავშირის პრეზიდენტი:**

— საქართველო ამაყი ქვეყანაა, სადაც რაგბის თამაშობენ. გარდა იმისა, რომ დაგეგმილი მატჩები ჩვენს ორ ქვეყანას კიდევ უფრო დააახლოებს, აღნიშნული ტურნე წარმოადგენს შესანიშნავ შესაძლებლობას მეორე დონის სარაგბო ქვეყნებში რაგბის განვითარებისათვის ხელის შესაწყობად. ჩვენთვის დიდი პატივია, რომ ამ ტურნეში უელსს ქროშიეზი წარმოადგენს და მოუთმენლად ველით მომავალ ორ თამაშს.

2-მატჩა სერიისათვის მოსამზადებლად მზარდი საქართველო 27 მაისს შეიკრიბა, რომელიც „შევარდენის" სანაკრებო ბაზასა და მარტყოფის სარაგბო სტადიონზე ივარჯიშებს. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლევან მაისაშვილმა გუნდში მსოფლიო ალაფიდან ახლახან დაბრუნებულ 7 20-წლამდელ მორაგბეს უხმო. გუნდის შემადგენლობაში ასევე ვიხილავთ ბორჯღალოსან ჯაბა ბრეგვაძეს, რომელსაც მიღებული ტრავმის შედეგად წელიწადზე მეტია, რაც ნაკრების კვართი არ მოურგია. სერიისთვის მაისაშვილმა ასევე ვაჟა ხუციშვილს, გივი ბერიშვილსა და ირაკლი მირცხულავას უხმო. ეს უკანასკნელი გუნდს 30 მაისს შეუერთდება.

**ლევან მაისაშვილი, მზარდი საქართველოს მთავარი მწვრთნელი:**

— ტრადიციულად, საზაფხულო სეზონ მზარდ საქართველოს ვხსნით. სერიისთვის მზადებისას იყო ერთი უხერხული მომენტი — ჩვენ ვფლობდით ინფორმაციას, რომ პირველი თამაში უნდა გვეთამაშა 21-წლამდე ასაკობრივი ზღვარით. შესაბამისადმ სელექციის კუთხითაც განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით ალაფაზე 20-წლამდელების თამაშს და ძირითადად პირველი თამაშისთვის ამ ბიჭებისგან გაპირებდით გუნდის დაყენებას, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ უელსელებმა დიდი გუნდით გადაწყვიტეს ჩამოსვლა და ჩვენც გათვლას ახლა სხვა მოთამაშეებზეც ვაპირებთ. მოწინააღმდეგეს საკმაოდ კარგი გუნდი ჰყავს. მოგეხსენებათ, უელსის პირველობის სელექციაა და ძლიერი მოთამაშეები ჰყავთ. 2012 წელს მაშინდელი „ა" ნაკრებით ორი თამაში მოვუგეთ უელსის მსგავს სელექციას და, დარწმუნებული ვარ, დიდი მოტივაციით იქნებიან და ყველაფერს გააკეთებენ სერიის მოსაგებად. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კიდევ უფრო მეტი მოთამაშე გამოჩნდეს და უფრო გაფართოვდეს ეროვნული ნაკრების სასელექციო სია. სწორედ ეს დანიშნულება აქვს ამ ნაკრებს და სერია ამ მიზანს ემსახურება. მიუხედავად იმისა, რომ მოსამზადებლად დრო ძალიან ცოტა გვაქვს, ჩვენ აუცილებლად მოსაგებად ვითამაშებთ. გარდა ამისა, საქართველოს ეროვნულ პირველობაში მოთამაშე ბიჭებს შინ მიეცემათ საერთაშორისო გამოცდილების მიღების შესაძლებლობა. მზარდი საქართველო 25-წლამდე ასაკობრივი ცენზის სელექციას წარმოადგენს, თუმცა გვყავს რამდენიმე შედარებით უფროსი ასაკის მორაგბე. მაგალითად, ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის რეკომენდაციით ვუხმეთ ჯაბა ბრეგვაძეს, რომელსაც ხანგრძლივი რეაბილიტაციის პერიოდის შემდეგ გვინდა მიეცეს თამაშის შესაძლებლობა. მინდა აღვნიშნო, რომ თამაშის და მაღალ დონეზე თავის წარმოჩენის შანსი ყველას მიეცემა. დანარჩენი კი ბიჭებსა და ჩვენზე, სამწვრთნელო შტაბზეა დამოკიდებული.

**მზარდი საქართველოს შემადგენლობა ასეთია:**

**ხაზი:** ირაკლი სვანიძე (ჯიქი), იოსებ კიკვაძე (აია), ლევან გოგოლაშვილი (ყოჩები), ანზორ სიჭინავა (აკადემია), გიორგი ფრუიძე (აია), გიორგი ტალახაძე (ლელო სარასენსი), ბადრი ლიპარტელიანი (არმაზი), რეზი ჯინჭველაშვილი (აია), მამუკა ნინიძე (ჯიქი), ვაჟა ხუციშვილი (ხარები), სანდრო მინდიაშვილი (ლელო სარასენსი);

**შერკინება:** ზურაბ ჯულაყიძე (ლელო სარასენსი), არჩილ ბეჟიაშვილი (ლოკომოტივი), ნიკოლოზ ხატიაშვილი (ორიაკი, საფრანგეთი), ირაკლი მირცხულავა (ტარბი, საფრანგეთი), ჯაბა ბრეგვაძე (ყოჩები), ბადრი ალხაზიშვილი (ლელო სარასენსი), ნოდარ ჭეიშვილი (ლასენი, საფრანგეთი), სანდრო ქოიავა (ლელო სარასენსი), ოთარ გიორგაძე (აია), დაჩი კოპაძე (ლელოს სარასენსი), გურამ შენგელია (ჯიქი), მიხეილ გაჩეჩილაძე (კარკერანი, საფრანგეთი), ვახტანგ ამირანაშვილი (არმაზი), გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი).

# სევილიამ ევროპის ლიგა და თბილისის საგზური მოიგო

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მეორე ტაიმი ისევ „სევილიას" უპირატესობით წარიმართა, რასაც უკრაინელები იშვიათი კონტრშეტევებით პასუხობდნენ. საბოლოოდ ანდალუსიელებმა მაინც გატეხეს მეტოქე და ჩემპიონთა ლიგის საგზურს დაეუფლნენ.

**გოლები ასე გავიდა:** მე-7 წუთზე კალინიჩმა და მატეუსმა ერთმანეთში კარგად გაითამაშეს ბურთი და უკრაინელთა თავდამსხმელმა ანგარიში გახსნა.

28-ე წუთზე, კუთხურის შემდეგ, „დნიპროს" საჯარიმოში შექმნილი არეულობის შემდეგ კრიშოვიაკმა ზუსტად დაარტყა — 1:1.

31-ე წუთზე რეიესის პასით მეკარესთან პირისპირ გასულმა კარლოს ბაკამ ბოიკო მოატყუა და შეხვედრაში თავისი პირველი გოლი გაიტანა.

44-ე წუთზე როტანმა ჯარიმა შესანიშნავად დაარტყა და რიკოს შანსი არ დაუტოვა.

73-ე წუთზე „დნიპროს" ფეხბურთელებმა ბურთი საკუთარი საჯარიმოს მისადგომებიდან ვერ გამოიტანეს, რის შემდეგაც ვიტოლომ ბაკა მეკარესთან პირისპირ გაიყვანა და კოლუმბიელმა შანსი ხელიდან არც ამჯერად გაუშვა — 3:2.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** — კარლოს ბაკა.

კოლუმბიელმა შესანიშნავი მატჩი ჩაატარა. მისი მონაწილეობით „დნიპროს" კართან უამრავი საგოლე მომენტი შეიქმნა. აქედან ორი თავად გამოიყენა, კლასიკური „მკვლელი" თავდამსხმელის როლი ითამაშა „დნიპროს" დამარცხებაში.

## საინტერესო დეტალები:

უნაი ემერის გუნდის გუშინდელი ტრიუმფი ესპანეთისთვის მეცხრეა ამ ტურნირის ისტორიაში. ამ მაჩვენებლით ესპანელები იტალიელებს გაუთანაბრდნენ. რაც შეეხება სევილიელთა მთავარ მწვრთნელს, ეს მისთვის ზედიზედ მეორე გამარჯვებაა და უნაი ემერი მეოთხე ესპანელი დამრიგებელია, რომელმაც ორჯერ მოიგო უეფას თასი! აქამდე იმავე მადრიდის „რეალის" თავკაცმა ლუის მოლოვნიმ (1985, 1986), სევილიელთა კიდევ ერთმა მწვრთნელმა ხუანდე რამოსმა (2006, 2007) და რაფაელ ბენიტესმა შეძლეს (2004 წელს ვალენსია, 2013 წელს ჩელსი). მწვრთნელთა შორის რეკორდსმენად კვლავ იტალიელი ჯოვანი ტრაპატონი რჩება, რომელმაც ტურინის „იუვენტუსისა" (1977, 1993) და მილანის „ინტერის" (1991) მენეჯერის პოსტზე სამჯერ აღმართა ეს ჯილდო.

ეს ჯილდოს ... ლი წევრი ხოსე ანტონიო რეიესი. შემტევი ნახევარმცველი, რომელმაც კარიერის საუკეთესო წლები მადრიდის „რეალში", ლონდონის „არსენალსა" და მადრიდის „ატლეტიკოში" გაატარა, უეფას თასის 4-გზის მფლობელი შეიქნა!

ვარშავულ ფინალამდე რეიესი რეკორდს 3 ფეხბურთელთან იყოფდა. ინგლისელმა რეი კლემენსმა და იტალიელებმა ჯუზეპე ბერგომიმ და ნიკოლა ბერტიმ ასევე 3-ჯერ მოიგეს უეფას თასი.

მომავალ ევროსეზონში ესპანეთი ჩემპიონთა ლიგაზე ხუთი კლუბით წარდგება: ჩემპიონი „ბარსელონა" და ვიცეჩემპიონი მადრიდის „რეალი" ჯგუფურ ტურნირში ითამაშებენ, მადრიდის „ატლეტიკო", „ვალენსია" და „სევილია" კი — საკვალიფიკაციო ეტაპზე.

2014-2015 წლების ევროპალიგის საუკეთესო ბომბარდირის ტიტული ორმა თავდამსხმელმა მოიპოვა: „ზალცბურგის" (ავსტრია) ბრაზილიელმა შემტევმა ალანმა და ლივერპულის „ევერტონის" ბელგიელმა გოლეადორმა რომელუ ლუკაკუმ 8-8 გოლი გაიტანეს. ფინალში დუბლის ავტორმა ბაკამ გათამაშება 7 გოლით დაასრულა.

11 აგვისტოს ევროპალიგის გამარჯვებული „სევილია" თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე" ითამაშებს. უეფას სუპერთასზე მისი მეტოქე 6 ივნისს ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე", ჩემპიონთა ლიგის ფინალში გამოვლინდება „ბარსელონასა" და „იუვენტუსს" შორის.

# შედეგები

## ფეხბურთი

### 27 მაისი

**ევროპის ლიგა**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| დნიპრო-სევილია | 2:3 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| გროდიგი-რაპიდი | 0:2 |

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ატრომიტოსი-ასტერასი | 0:0 |
| პაოკი-პანათინაიკოსი | 0:1 |

**ჩეხეთი. თასი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| იაბლონეცი-ლიბერეცი | 1:1(1:3პ) |

## კალათბურთი

**ნბა. პლეი ოფი 4 მოგებამდე**

| | |
|---|---|
| გოლდენ სტეიტი-ჰიუსრონი | 104:90 |

## ჩოგბურთი

**როლან გაროსი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| იანოვიჩი-მაიერი | 4:6;4:6;7:6;1:6 |
| ჩილიჩი-არნაბოლდი | 7:6;6:1;6:1 |
| ანდუხარი-კოლშრაიბერი | 6:1;7:6;3:6;3:6;6:4 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| პეტკოვიჩი-დომინგეს ლინო | 4:6;6:4;6:4 |
| ვიტჰეფტი-ერანი | 3:6;6:4;2:6 |
| კვიტოვა-ესპინოსა | 6:7;6:4;6:2 |
| გერგესი-ვოზნიაცკი | 6:4;7:6 |
| კარატანჩევა-ფალკონი | 6:3;1:6;2:6 |
| კონიუხი-ბეგუ | 2:6;0:6 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

[illegible] 100% [illegible]

მის.: მეტრო „დიდუბე", [illegible], 1-ლი სართ., [illegible] 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 [illegible]

# ჩატარდება თუ არა რუსეთში მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში?

## კორუფციული სკანდალი უეფაში და მისი შესაძლო შედეგები




დაპატიმრებულია უეფა-ს 7 მაღალი რანგის ფუნქციონერი, აქედან ორი ვიცეპრეზიდენტი. მათ მიმართ წაყენებულია ბრალდება კორუფციაში, რეკეტში, ფულის გადარეცხვაში. ამ სკანდალმა მთელი ევროპა შეძრა და ცხადია, რომ ის უკვალოდ არ ჩაივლის.

— სკანდალს უეფაში გასული საუკუნის 80-იანი წლების პ-2-თან დაკავშირებულ სკანდალს შევადარებდი! — წერს ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი.

როგორც ცნობილია, მასონური ლოჟა პ-2 მხილებულ იქნა როგორც ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობაში, ასევე რეკეტში, კორუფციაში და მრავალი ქვეყნის, მათ შორის სსრკ-ის სპეცსამსახურებთან კავშირში. რუსული კვალი უეფასთან დაკავშირებულ სკანდალშიც გამოიკვეთა.

### რატომ გადაწყდა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის რუსეთში ჩატარება?

რუსეთში (2018 წ) და ყატარში (2022 წ) საფეხბურთო ჩემპიონატების ჩატარებამ თავის დროზე მრავალი ექსპერტი ჩააფიქრა. მსოფლიოს ავტორიტეტულ გაზეთებში გაჩნდა პუბლიკაციები, რომ რუსებმა საამისოდ მოზრდილი თანხა გაიღეს. ამ პუბლიკაციებმა კრემლი გააღიზიანა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე განაცხადა:

— გაქვთ კონკრეტული ფაქტები, რომ რუსეთში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება ქრთამის გამო გადაწყდა? მაშ კეთილი ინებეთ და გადმოალაგეთ! არა? ჰოდა, გაჩუმდით!

ჟურნალისტები არ ჩუმდებოდნენ. გაზეთებში ერთმანეთის მიყოლებით ჩნდებოდა მასალები, რომლებშიც ეწერა, რომ რუსეთმა და კატარმა მსოფლიო ჩემპიონატის ჩასატარებლად სოლიდური თანხა გაიღეს. პუბლიკაციებში ფიგურირებდნენ ისეთი პიროვნებები, როგორიცაა ფიფა-ს პრეზიდენტი ბლატერი, რუსეთის სპორტის მინისტრი ვიტალი მუტკო, კატარის საფეხბურთო ჩინოვნიკი ბენ გამანა. სკანდალური პუბლიკაციები არ წყდებოდა. ჟურნალისტების მტკიცებით, გამანამ და მუტკომ ბლატერს ხუთი მილიონი დოლარი მიართვეს. შედეგად რუსეთს, ისევე, როგორც ყატარს, მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების უფლება მისცეს:

— ამ ე.წ. ჟურნალისტებს ვაფრთხილებ: თუკი დამამტკიცებელი საბუთები გააჩნიათ, მაგიდაზე დადონ! არა, მაშინ აირჩიონ, ან სასამართლოში ვუჩივლებ, ან საქმეს ქუჩის წესებით გავურჩევ! — თქვა მუტკომ.

ამ განცხადებამ ყველა აღაშფოთა. როგორც ჟურნალისტები, ისე ავტორიტეტული საფეხბურთო ექსპერტები (ლინეკერი) მოითხოვდნენ, რათა ხსენებულ ბრალდებებთან დაკავშირებით ჩატარებულიყო გამოძიება. იმაზე, რომ უეფაში ყველაფერი რიგზე ვერ იყო და კორუფცია ყვაოდა, უკვე ბევრი ლაპარაკობდა, მათ შორის ცნობილი ფეხბურთელები, ტელეკომენტატორები, ჟურნალისტები და თვით პოლიტიკოსებიც კი.

### უეფა-ს მრჩეველი დაბნეულია

კორუფციული სკანდალის აგორებისთანავე კვლავ დღის წესრიგში დადგა საკითხი: რატომ გადაწყდა 2018 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის რუსეთში ჩატარება? შვეიცარიის პოლიციამაც მომხდართან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო.

— ის, რაც დღეს უეფას გარშემო ხდება, ამერიკელთა ხრიკებია, — ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებაში.

ამან შვეიცარიელებს დამატებითი სტიმული მისცა. შვეიცარიელმა გამომძიებლებმა განაცხადეს, რომ ვიტალი მუტკო მომხდართან დაკავშირებით აუცილებლად უნდა დაიკითხოს. ამან რუსი მინისტრის მწვავე რეაქცია გამოიწვია:

— მე არავისი არ მეშინია! კი ბატონო, დამკითხონ, მაგრამ შვეიცარიაში არ ვეახლები. დაე, აქ, მოსკოვში, ჩამოვიდნენ!

იმავდროულად, რუსულ მედიაში გამოჩნდა მასალები, თითქოს ამერიკელები მუტკოს დასავლეთში გატყუებასა და დაპატიმრებას აპირებენ. რუსებმა ცილისწამებად მონათლეს რამდენიმე თვის წინ რუსი მეზღვაურის იაროშჩენკოს დაპატიმრება, რომელსაც ამერიკელმა პოლიციელებმა ნარკოტიკის მოზრდილი პარტია აღმოუჩინეს. ახლა თურმე მიზანში მუტკო ჰყავთ. შვეიცარიელი გამომძიებლების აქტიურობამ უეფას ის მაღალჩინოსნებიც შეაშფოთა, რომელთაც რუსეთთან მჭიდრო კონტაქტები ჰქონდათ. უეფას მრჩეველმა დე გრიგორიომ განაცხადა:

— ხსენებული გამოძიება უეფას ინიციატივით დაიწყო! გეთანხმებით, ორგანიზაციის პრესტიჟისათვის ეს ცუდია, მაგრამ ამით საბოლოოდ დაესმება წერტილი თემას, კორუფცია უეფაში.

დე გრიგორიომ აღნიშნა, რომ ვერ ხედავს საფუძველს, რათა რუსეთში საფეხბურთო ჩემპიონატი არ ჩატარდეს.

— თუკი ქრთამის მიცემის თაობაზე ბრალდება დადასტურდება, კი ბატონო, მაგრამ ჯერჯერობით ასე არაა, ამიტომ ნუ ვიჩქარებთ.

### ჩეხი გენერალი ანუ თანამედროვე შვეიკი

უეფას გარშემო აზვირთებული აჟიოტაჟი რუსეთ-დასავლეთს შორის ცივი ომის ნათელი დადასტურებაა. ბევრი ექსპერტიც გასული საუკუნის ცივი ომის ეპოქის ანალოგიას აკეთებს. ჩეხი გენერალი პაველი ამასთან დაკავშირებით შეშფოთებას არ მალავს:

— მაშინ ბრძოლები ავღანეთში, ნიკარაგუაში, ანგოლაში მიმდინარეობდა. ახლა საუბარია უკრაინაზე, საქართველოზე, ბალტიისპირეთზე. რუსეთი კუთხეშია მიმწყვდეული, რაც, შესაძლოა, ძალიან ცუდად დამთავრდეს, — თქვა მან.

პაველი თვლის, რომ მხეცის კუთხეში მიმწყვდევა არ შეიძლება. მისი აზრით, თუკი რუსეთმა მოისურვა, უკრაინასაც და ბალტიისპირეთსაც ორი დღის განმავლობაში დაიკავებს.

— ბალტიისპირეთი ნატოს წევრია, მაგრამ ნატო მის დაცვას ვერ შეძლებს, — აცხადებს გენერალი.

რადიო „თავისუფლების“ ექსპერტი ალექსანდრე გოლცი ამას არ ეთანხმება. მისი აზრით, რუსეთს არავითარი შანსი არა აქვს, რათა თავის აგრესიულ მიზნებს მიაწიოს. ამ პოზიციას მთლიანად იზიარებს ცნობილი ამერიკელი ექსპერტი ბჟეჟინსკიც:

— რუსეთი ჩართული აღმოჩნდა ომში, სადაც გამარჯვების არანაირი შანსი არ გააჩნია! შესაბამისად, ადრე თუ გვიან კრემლი ალტერნატივის წინაშე დადგება: ან იმპერიულ ამბიციებზე უარი, ან ჩინეთის ღარიბ სატელიტად გადაქცევა. — ამბობს ბჟეჟინსკი.

დოქტორი დონცოვი წერდა, რომ ჩეხები თავისი ბუნებით პაციფისტები არიან და ყველა ჩეხი შინაგანად შვეიკიაო. მართლაც, გასულ საუკუნეში ჩეხები თოფის გასროლის გარეშე ჩაბარდნენ ჯერ გერმანიას, შემდეგ რუსეთს. გენერალ პაველის სიტყვები მოწმობენ, რომ ჩეხების მენტალიტეტი არ შეცვლილა.

### რით დასრულდება სკანდალი?

უეფას პრეზიდენტს ზეპ ბლატერის მისამართით ჯერჯერობით არანაირი ბრალდება არ გამოთქმულა. ბლატერიც პრეზიდენტობაზე კენჭის ყრას კვლავ აპირებს. ამან ბევრი გააოცა.

— ბლატერის ადგილას კენჭს არ ვიყრიდი. ახლა მას ერთად ერთი გამოსავალი დარჩა, შინ წავიდეს, ტახტზე წამოწვეს და თავის კატას მოეფეროს, ფეხბურთში მისი კარიერა დამთავრებულია, — განუცხადა ჟურნალისტებს მიშელ პლატინიმ.

უეფაში კორუფციულ სკანდალთან დაკავშირებული გამოძიება გრძელდება, თუმცა უკვე ცხადია, რომ ძველი უეფა ვეღარასოდეს აღდგება. საფეხბურთო სკანდალმა არა მხოლოდ რუსეთის, როგორც სახელმწიფოს იმიჯი შელახა, მან უეფას იმ საფეხბურთო ჩინოვნიკების პოზიციებიც შეარყია, რომლებიც რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობას მოითხოვდნენ. ეს კი გავლენას იქონიებს როგორც უეფაზე, ისე თავად რუსეთზე.

ნიკა თევზაძე

## მარინ ლე პენი მოსკოვში ჩავიდა



მოსკოვში ფრანგული ულტრამემარჯვენე ორგანიზაციის „ნაციონალური ფრონტის“ ლიდერი მარინ ლე პენი ჩავიდა. რუსეთის დუმის სპიკერ ნარიშკინთან საუბარში ქალბატონმა ლე პენმა განაცხადა:

— საფრანგეთის დღევანდელი მთავრობა ამერიკის გავლენის ქვეშ იმყოფება! საფრანგეთის სუვერენიტეტი ფაქტიურად ნულამდეა დასული. თუკი ჩვენ ევროკავშირში დავრჩებით, ამერიკის პროვინციად გადავიქცევით.

მარინ ლე პენმა ყურადღება რუსულ-უკრაინულ ურთიერთობებზეც გაამახვილა და აღნიშნა, რომ რუსეთის მიმართ სანქციებთან შეერთება საფრანგეთის ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება.

— ჩვენმა მთავრობამ ეს გადაწყვეტილება აშშ-ის ზეწოლის შედეგად მიიღო. შედეგად ჩვენმა ეკონომიკამ უდიდესი ზარალი განიცადა, — თქვა ფრანგი ულტრარადიკალების ლიდერმა.

ქალბატონ ლე პენს უკრაინაში მშვიდობის აღდგენის საკუთარი გეგმაც გააჩნია, თუმცა ის პუტინის გეგმას საეჭვოდ ემთხვევა.

— უნდა მოხდეს უკრაინის ფედერალიზაცია, შემდეგ კი ამ ქვეყნის მშვიდობიანი დაშლა, — აცხადებს ფრანგი ქალბატონი.

მარინ ლე პენი თვლის, რომ სანქციები რუსეთის კი არა, უკრაინის წინააღმდეგ უნდა განხორციელდეს, რათა აიძულონ კიევი, ფედერალიზაციას დათანხმდეს. მისი აზრით, უკრაინის დასავლეთი რეგიონი თავის ფასეულობებს ძალად ახვევს თავს აღმოსავლეთ რეგიონს. ომიც თურმე ამან გამოიწვია (!!!)

— უკრაინის მშვიდობიანი დაშლა ერთადერთი გამოსავალია! წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროპის ცენტრში ახალ „იუგოსლავიას“ მივიღებთ! — აცხადებს რუსების დამქაში ფრანგი ულტრარადიკალი.

დუმის სპიკერთან საუბარში მარინ ლე პენმა თქვა, რომ როცა „ნაციონალური ფრონტი“ საფრანგეთის ხელისუფლების სათავეში მოვა, მდგომარეობა ძირეულად შეიცვლება და საფრანგეთი რუსეთის მოკავშირე გახდება. დღეს კი „ნაციონალური ფრონტი“, როგორც პარტია, მზადაა, რუსეთს ყოველმხრივ მხარი დაუჭიროს.

## ანჟეი დუდა: რუსეთის იმპერიული ამბიციები უნდა დაიბლოკოს!“



პოლონეთის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ანჟეი დუდამ განაცხადა, რომ რუსეთის იმპერიული ამბიციები უნდა დაიბლოკოს. პოლონურ ტელეარხ ტვპ-24-ის ცნობით, დუდამ დასავლეთს მეტი აქტიურობისაკენ მოუწოდა:

— რუსეთის ამბიციები იზრდება! ამისი უყურადღებოდ დატოვება აღარ შეიძლება, — თვლის პოლონეთის ახალი პრეზიდენტი.

## ვენაში 14 წლის ტერორისტი გაასამართლეს



ავსტრიის დედაქალაქში 14 წლის ტერორისტი გაასამართლეს. გამოძიებით დადასტურდა, რომ მას კავშირი ჰქონდა „ერაყისა და ლევანტის ისლამურ სახელმწიფოსთან“ და ავსტრიის დედაქალაქში აფეთქებების მოწყობას აპირებდა.

— მას დავალებული ჰქონდა, სარკინიგზო ხიდი აეფეთქებინა, — იტყობინება ბი-ბი-სი.

14 წლის ტერორისტი ეროვნებით თურქია. ის ავსტრიაში მშობლებთან ერთად ჩავიდა. მცირეწლოვნობის გამო მას მხოლოდ 16 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## hȝxцeхȝcб ,



**შვეულად**: 1, ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო სამედიცინო პრეპარატი; 2. ღვინის მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 3. ქართველი პოეტის ნიკო რაზიკაშვილის ფსევდონიმი; 4. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 5. სახელმწიფო სამხრეთ- აღმოსავლეთ აზიაში; 8. ბროწეულის წვენისგან მომზადებული საწებელი; 12. სიგრძის საზომი ერთეული იაპონიაში; 13. ინდური ეპიკური პოემა; 14. სატანვარჯიშო იარაღი; 16. სურნელოვანი პარფიუმერიული სითხე; 18. ამერიკელი ზანგების სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 20. პატარა ქვევრი.

**თარაზულად**: 6. პოპულარული მინერალური წყალი უკრაინის კარპატებში; 7. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 8. ზნეობა ანუ...; 9. ფრანგი მწერალი; 10. ჰუსართა მუნდირი; 11. კარდინალთა საბჭო, რომელიც ირჩევს რომის პაპს; 15. იტალიელი პოლიციელი; 17. ტბა სამხრეთ საქართველოში; 19. ნავსადგური, კურორტი, რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 21. ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 22. იაპონური რესტორანი; 23. მსხვილი საჯარისო შენაერთი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

### ობყფ ყჯვცჰიბ უფვჯმღც.ყც,ეჯბ hȝxцeхȝcც,ბც გფცეcც,ბ5

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პლანკი; 2. „ენეიდა“; 3. აფინაჟი; 4. ჰიპნოსი; 5. შნიცელი; 7. ვაჩნაძე; 11. ჩაქვი; 12. ფიასკო; 13. ვოლიერი; 14. ფლუგერი; 15. საჰარა; 17. რიბერი; 19. ჰოკუ.

**თარაზულად:** 5. შაოლინი; 6. ხარფუხი; 8. დაჩი; 9. ტანგო; 10. ერმისა; 11. ჩოხა; 13. ვერმონტი; 14. ფუქსი; 16. კროსი; 18. ხაიფა; 20. რაშკული; 21. რეპრიზა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. „ბარამბო“; 2. დეფიციტი; 3. ყაყაჩო; 4. წინდა; 5. სერფინგი; 8. მონიუშკო; 12. მუხა; 13. დიაგრამა; 14. „ოკენცე“; 16. მელიავა; 18. მალტა; 20. ტახო.

**თარაზულად:** 6. შანსონიე; 7. ახალციხე; 8. მარინა; 9. ომალო; 10. დიაგნოზი; 11. პლომბირი; 15. პინაკოთეკა; 17. „საირმე“; 19. ცურტაველი; 21. მარჩილი; 22. ჩატურანგა; 23. ჰოოპუნა.

### fcnhjghjuyjpb 29 მაისისთვის

**ვერძი** — სახლში დიდი სიხარულია მოსალოდნელი. **კურო** — ცხოვრება გეცვლებათ, მოემზადეთ. **ტყუპები** — დღეს პირად ცხოვრებაში სიახლეს ელოდეთ. **კირჩხიბი** — რომანტიკის დრო არ არის, ცხოვრებას სერიოზულად შეხედეთ. **ლომი** —მიემგზავრებით, ახალ სამსახურს იწყებთ. **ქალწული** — ფული და კეთილდღეობა არ აგცდებათ. **სასწორი** — თავს მიხედეთ, სხვები მოიცდიან. **ღრიანკალი** — უარი არ თქვათ ახალ შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — პრობლემებს მეგობრები მოგიგვარებენ. **მერწყული** — სანამ სერიოზულ ნაბიჯს გადადგამდეთ, ჯერ კარგად დაფიქრდით. **თევზები** — რომანტიკული შეხვედრა დიდ სტიმულს მოგცემთ.

უბცეჰღც,ს ,ცლყბცჰ ლქცს=

# ერეკლე დეისაძე ახალი სკანდალის მოლოდინშია

ეკა ირემაშვილი

**მწერალი და მუსიკოსი ერეკლე დეისაძე ისევ სკანდალის მოლოდინშია. ის თავის ერთგულ მსმენელს სიახლეებით უბრუნდება. უკვე გამოვიდა ერეკლეს სადებიუტო ალბომი „იარე“, რომელიც აითუნზე დევს და სულ მალე დღის სინათლეს იხილავს მისი ახალი რომანი „რუსული არდადეგები“.**

**ერეკლე დეისაძე:**

— ჩემი პირველი სადებიუტო ალბომი, სახელწოდებით „იარე“, აითუნზე გამოვიდა. ახალი რომანიც მზად მაქვს, რომელსაც „რუსული არდადეგები“ ჰქვია. რომანი 2008 წლის ომზეა. იმდენი რამ გავიგე ამ ომზე, იმან დაიწყო ომი, ამან დაიწყოო, ბოლოს ვთქვი, მე დავიწყე-მეთქი. მთელი ტექსტი რაც დავწერე, არის ომის ჩემი ვერსია, რა ხდებოდა თბილისში იმ დროს, როცა გორს ბომბავდნენ და რას აკეთებდნენ პოლიტიკოსთა ცოლები. ეს არის ჭორებიც და რეალური ამბებიც.

***— ახალ სკანდალს ელით?***

— ვნახოთ, როგორ მიიღებს საზოგადოება. ამ რომანში ჩემი შიშების ნაკრებია, რომელიც იმ პერიოდში განვიცადე 18 წლის ახალგაზრდა ბიჭმა.

***— რატომ ხართ მუდამ საზოგადოების ინტერესის ობიექტი?***

— მართლაც, საზოგადოებას ინტერესი ყოველთვის აქვს ჩემ მიმართ და ამას ვგრძნობ. მერე ეს ინტერესი არის ჩემი მოტივაციის წყარო, რომ ბევრი გავაკეთო და ბევრს სივრცეში ვცადო საკუთარი თავის გამოვლინება და რეალიზება. ფორმები იხვეწება დროსთან ერთად. თუ ერთი და იმავე ფორმით და ენით ისაუბრებ თემებზე და პრობლემებზე, საინტერესო აღარ ხარ ხალხისთვის. მუდმივად რეგენერაციის პროცესში უნდა იყოს, რომ ტყავი გამოიცვალო და ახალი მოირგო, ეს კი, პირველ რიგში, არის პროცესი. ეს სად მივა და როგორც დამთავრდება, ნაკლებად მნიშვნელოვანია ჩემთვის.

***— შეურაცხყოფას მიეჩვიეთ?***

— კი, მივეჩვიე. საზოგადოებაში ამ დროს რაღაც ჯგუფები თავიანთ თავს ავლენენ, გამჭვირვალე ხდება პროცესი და ამაზე მეტი ფუნქცია რა უნდა ჰქონდეს ხელოვნებას, როცა ის აშიშვლებს საზოგადოების გარკვეულ ფენებს და გვაჩვენებს მათ რეალურ სახეს. მეც, როცა საზოგადოებაზე ვლაპარაკობ, არ მინდა ისე გამოვიდეს, რომ ვინმეს ზემოდან ვუყურებ. მეც ამ საზოგადოების წევრი ვარ. მეც ამ ტალახის წევრი ვარ, რომელიც არ მომწონს და მინდა, რომ გასუფთავდეს.

***— როცა რამეს ქმნით, საზოგადოების რეაქციაზე ხართ ორიენტირებული?***

— მუსიკას რომ შევეხო, ზოგიერთი სიმღერა ძალიან ინტიმური და პირადია, რომელსაც არ ვთვლი, რომ ამას რაიმე უნდა მოჰყვეს. ეს უფრო ეხება რომანტიკულ სიმღერებს, რომლებიც ხალხს ჩემსავით ძალიან უყვარს. „რაც მამას“ უნდა, იყო სიმღერა, რომელმაც საზოგადოებაში ნამდვილი აჟიოტაჟი გამოიწვია. ეს არის სწორედ საზოგადოებისთვის ნასროლი ანკესი, რომელმაც თავისი შედეგი გამოიღო. ამ სიმღერაში არის ძალიან ბევრი პრობლემა, მათ შორის, ჩემიც.

***— შემოქმედებას მართლა კომპლექსების დაძლევისთვის იყენებთ?***

— კი. მუსიკა ჩემი სათქმელის ერთ-ერთი ფორმაა. პოეზიას როცა კითხულობენ, ვხედავ, რომ ვიღაცები ამთქნარებენ. მივხვდი, რომ ეს მოძველებული ფორმაა და მას დახვეწა სჭირდება. ჩემი შემოქმედება არის პოეზიის ნაწილი, რომელსაც უკან არანჟირება აქვს. მუსიკაც მაგიტომ დავიწყე, რომ ბევრად უფრო საინტერესო იყოს ჩემი შემოქმედება მასებისთვის. კომპლექსები და შიშები აუცილებელია ჰქონდეს ხელოვანს. ვინც იტყვის, რომ არ აქვს კომპლექსი და შიში, ის იტყუება. ამ შიშის ხაზგასმა უნდა შეგეძლოს, ეს არ არის ცუდი მომენტი, პირიქით, კომპლექსებისა და შიშების ნაკრებია მთელი კულტურული ველი. მაგრამ ამას აქვს სხვადასხვა გამოვლინება და შეგვიძლია, ფორმებზე ვისაუბროთ და ვიდავოთ.

***— უკომპლექსო ადამიანის იმიჯის მქონე ერეკლე დეისაძე კომპლექსებზე საუბრობთ?***

— გამოთქმის შიში არ მაქვს, თორემ რაღაცები შიგნით იხარშება. რა ფორმით გადმოვცემ და მივაწოდებ მსმენელს, ეს არის მთავარი. ნებისმიერ ადამიანში არსებობს შიშები და კომპლექსები და ამის უარყოფა, უბრალოდ, უაზრობაა, მაშინ არც ხარ ადამიანი.

***— რთული იყო ქუთაისიდან თბილისში წამოსვლა და დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება?***

— რა თქმა უნდა, რთული იყო. როცა ჩამოყალიბების პროცესში ხარ, თან დამოუკიდებელი არ ხარ და ფინანსურად მიბმული ხარ ოჯახზე, არ გაქვს საკუთარი სახლი, სადაც ჩაიკეტები და ყველას ეტყვი, რომ დაგანებონ თავი. ეს მქონდა გააზრებული და გაცნობიერებული თავიდანვე. რომ ამბობენ, ერეკლე დეისაძე ჩვენს ქართველობას ეხებაო, ეს ყველაფერი ჩემიცაა, ყველა ადამიანი, ვინც ამ ქვეყანაში იბადება, აქვს მოქალაქეობა და არის თანასწორი კანონით, ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, ჩაერიოს საზოგადოებრივი წესრიგის მოწყობაში. როცა გადავწყვიტე, რომ ამ ქვეყანაში უნდა ვიცხოვრო, რომელიც ძალიან მიყვარს, ეს არ არის პოლიტიკოსის ნათქვამი, ხმები არ მჭირდება. რომ ვთქვა, მიყვარს ჩემი ქვეყანა-მეთქი, რეალურად მიყვარს, ამიტომ ეს პროცესი გულისხმობდა იმას, რომ ამ ქვეყანაში უნდა ვიცხოვრო და კეთილი ინებონ ვიღაცებმა და ჩემი წესრიგიც მიიღონ.



***— ღმერთი ჩემი მეგობარიაო, ამბობთ. როგორი ურთიერთობა გაქვს მასთან?***

— ჩემთვის ეს ურთიერთობა არის ის, რასაც ჩემი მუსიკითა და პოეზიით ვაკეთებ. აქ ვხედავ, რომ ღმერთი მეხმარება.

***— რა იწვევს თქვენს პროტესტს?***

— მაღიზიანებს, როცა ამბობენ, რომ ქართველობას დაცვა სჭირდება. მაშინ ჯერ უნდა შევთანხმდეთ, რა არის ცნება ქართველობა. პირველ რიგში ქართველობას დაცვა სჭირდება საკუთარი თავისგან. როცა ვიღაცები მუდმივად სხვისკენ იშვერენ თითს, ჯობია, ცოტა ხანს სარკეში ჩაიხედონ და თავიანთი თავიდან დაიწყონ რაღაცების შეცვლა. შემდგომ მათ ლეგიტიმური უფლება ექნებათ, რომ ვიღაცებს რაღაცები მოუწოდონ. როცა ერთ ადგილას დგას ადამიანი და არ ვითარდება, ჩემთვის ცოტა საეჭვოა, რა ტიპის მოდელს გვთავაზობს ის, რომელიც პატრიოტიზმის ნიღაბს არის ამოფარებული. პატრიოტიზმი და მორალი ისეთი რამეა, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მოირგოს და ღვთისმშობლის სახელით, ქართველობის სახელით, ნებისმიერი სახელით გელაპარაკოს და ჭკუა გასწავლოს.

***— პოლიტიკოსობაზე გიფიქრიათ?***

— კი. აქტიურად ვარ ჩართული ამ პროცესებში, იმიტომ რომ არტისტისთვის იდეალური სივრცეა მიტინგი. ამ მიტინგებს ვხედავ, როგორც ტრიბუნას, სადაც შესაძლებლობა გაქვს, მატყუარა ჩინოვნიკი ჩამოხსნა.

***— რევოლუციების მომხრე ხართ?***

— რევოლუციას მრავალი ფორმა აქვს. მე ვარ მშვიდობიანი რევოლუციის მომხრე, იმიტომ რომ არც ერთი რევოლუცია არ მიღირს არც ერთი ადამიანის სიცოცხლის ფასად. ვის ვეომებით? ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენი თანამოქალაქე, როგორც არ უნდა ფიქრობდეს, ჩვენი თანამემამულეა. 90-იანი წლებიდან ჩვენ ეს გამოცდილება გვაქვს და სადამდეც მივედით, ყველამ ვიცით. რევოლუციას რ რომ მოვაშოროთ და ევოლუცია დავტოვოთ, ბევრად მნიშვნელოვანი იქნება. ევოლუცია უნდა იყოს წინა პლანზე, ვიდრე რევოლუცია, იმიტომ რომ ცოტა დავიღალე. თანამოაზრე მყავს საკმაოდ ბევრი, ახალგაზრდებს ვგულისხმობ, იმიტომ რომ უშუალო კონტაქტი მაქვს მათთან, როცა ღია ლექციებს ვატარებ უნივერსიტეტებში. ასევე ჩემს კონცერტებზე ვურთიერთობ მათთან. ჩემთვის ჩემი კონცერტები არ არის ის, რომ სცენაზე ვარ და ვიღაცებს ზემოდან ვუყურებ. ეს არის შეხვედრა და გაცნობა ადამიანების, სადაც ყველა კონცერტზე ბევრნაირი და სხვადასხვა ტიპის ადამიანი მოდის და ჩემთან კითხვები აქვს. ჩემთვის ხმებსა და მსგავს რაღაცებზე უფრო მნიშვნელოვანია საზოგადოების გაზრდა. ის ფუნქცია არ მაქვს, რომ მე უნდა გავზარდო ისინი. მეც მათთან ერთად უნდა გავიზარდო, მეც მათი ნაწილი ვარ. ყველანი ერთმანეთის ნაწილები ვართ, თუნდაც საპატრიარქო. ეს არ არის ცალკე ინსტიტუცია. ის ჩვენი ნაწილია და ჩვენც მისი ნაწილი ვართ. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ თუ რომელიმე ინსტიტუცია დაავადებულია, კი არ მოვკვეთოთ და ვებრძოლოთ, ვესაუბროთ და ვთქვათ, იქნებ ასე ჯობიაო. მერწმუნეთ, დიალოგი უმთავრესია. ურთიერთპატივისცემა და გამოცდილების გაზიარებაა ის პროცესი, რომელიც ევოლუციას აუცილებლად გამოიწვევს.

# კრისტის აუქციონზე ფიროსმანი რუსული მხატვრობის კატეგორიაშია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ისეთ ქართველს, რომელიც შეიძენს ამ ნახატს, დააბრუნებს საქართველოში და, რა თქმა უნდა, აჩუქებს მუზეუმს?! პ.ს. ვოცნებობ. მაქვს მეორე ვერსიაც — 1 დოლარი დავდოთ 1.000.000-მა მოქალაქემ და დავიბრუნოთ ფიროსმანის ფერწერა! აუქციონი ტარდება პირველ ივნისს, შანსი გვაქვს და, თუ მივაწვებით, გამოგვივა. ძალა ერთობაშია!

ფიროსმანის შემოქმედების პირველი სრული კატალოგის შემდგენელი, მხატვარი და მაკეტის ავტორი კულტურის ყოფილი მინისტრის ნიკა რურუას მამა ვახტანგ რურუაა. ალბომ-კატალოგი ვახტანგ რურუას დაუსრულებელი ნამუშევარია და მხატვრის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა:

— პროექტი ჩვენი კულტურის ფუნდამენტური ინტერესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა, პროექტის განხორციელებას მრავალი არგუმენტი უჭერს მხარს: საქართველოში არ გამოცემულა ფიროსმანის ნამუშევრების სოლიდური სასაჩუქრე ალბომი. დღეისთვის მნიშვნელოვნად არის შეცვლილი ფიროსმანის სურათების საკატალოგო მონაცემები, სახელმწიფო მუზეუმებში დაცული ფიროსმანის სურათების გარდა, აუცილებელია კერძო კოლექციების გადამოწმება-ფოტოგრაფირება, შესწორებების შეტანა კატალოგში. — ასე ასაბუთებდა ვახტანგ რურუა ალბომ-კატალოგის გამოცემის აუცილებლობას.

# ზემფირა თბილისში ჩამოდის

ეკა ირემაშვილი

ხანმოკლე პაუზის შემდეგ თბილისს ისევ უბრუნდება ცნობილი მომღერალი ზემფირა, რომელიც საქართველოს ხშირი სტუმარია. მომღერალმა ინფორმაცია თავის ოფიციალურ ვებგვერდზე უკვე გაასაჯაროვა.

ზემფირა თბილისს „ალტერვიჟენ გრუპის“ მიერ ორგანიზებული ფესტივალის „თბილისი ოფენ ეარის“ ფარგლებში ესტუმრება. ფესტივალში, რომელიც 3-7 ივლისს თბილისის ზღვის ახალი ქალაქის ტერიტორიაზე გაიმართება, მონაწილეობას მიიღებენ როგორც უცხოელი, ასევე ქართველი მუსიკოს-შემსრულებლები. ხუთდღიან ფესტივალში 70-ზე მეტი არტისტი იქნება ჩართული.

„ალტერვიჟენ გრუპი“ ფესტივალს ყოველწლიურად ატარებს და მასში მსოფლიოში ცნობილ ვარსკვლავებს იწვევს. ყოველ წელს ფესტივალის ლოკაციის ადგილი იცვლება და ის ღია ცის ქვეშ მაქსიმალურად გაშლილ ადგილებში იმართება.



## სპორტი

# კახა ცხადაძემ ნაკრებში მხოლოდ ლეგიონერებს უხმო

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართრიტის, ანკილოზირებული სპონდილოარტრიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და საოპერაციოვ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საგრძნობია და მყარი.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

საქართველოს ნაკრები უკრაინასთან 9 ივნისის ამხანაგური და პოლონეთთან 13 ივნისის შესარჩევი მატჩებისთვის მზადებას იწყებს. ნაკრების მწვრთნელმა კახა ცხადაძემ ის 24 ფეხბურთელი დაასახელა, რომლებიც ამ მატჩებისთვის მოემზადებიან. ცხადაძის სიაში ახალ სახელს ვერ ამოიკითხავთ, თითქმის ყველა მისი რჩეული ნაკრებში ნაცადი ფეხბურთელია, თუმცა არიან ისეთი ფეხბურთელებიც, რომელთა გამოჩენაც, ცოტა არ იყოს, გასაკვირი აღმოჩნდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ გამოძახებულთა შორის საქართველოს ჩემპიონატიდან არავინაა, 24-ვე ფეხბურთელი ლეგიონერია.

**კახა ცხადაძის რჩეული შემადგენლობა ასეთია:**

**მეკარეები:** გიორგი ლორია (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), ნუკრი რევიშვილი (ტოსნო, რუსეთი), როინ კვასხვაძე (ოთელოსი, კვიპროსი);

**მცველები:** ალექსანდრე ამისულაშვილი (ინტერი, აზერბაიჯანი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), საბა კვირკველია (რუბინი, რუსეთი), უჩა ლობჟანიძე (ომონია, კვიპროსი), კახა ალადაშვილი (სკა-ენერგია, რუსეთი), ლაშა დვალი (ქასიმფაშა, თურქეთი), გიორგი ნავალოვსკი (ტოსნო, რუსეთი), ლაშა სალუქვაძე (ინტერი, აზერბაიჯანი);

**ნახევარმცველები:** მურაზ დაუშვილი (კარპატი, უკრაინა), ჯაბა კანკავა (დნიპრო, უკრაინა), კახა მახარაძე (ფახთაქორი, უზბეკეთი), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), სანდრო კობახიძე (ვოლინი, უკრაინა), ვაკო ყაზაიშვილი (ვიტესი, ჰოლანდია), გოგიტა გოგუა (სკა-ენერგია, რუსეთი), ლევან ყენია (სლავია, ჩეხეთი), თორნიკე ოქრიაშვილი (გენკი, ბელგია);

**თავდამსხმელები:** გიორგი ჭანტურია (კლუჟი, რუმინეთი), ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), მათე ვაწაძე (ორჰუსი, დანია), ბაჩანა ცხადაძე (ინტერი, აზერბაიჯანი).

ამ შემადგენლობიდან 19 ფეხბურთელი ავსტრიულ ლინცთან ახლოს მდებარე დაბა მინდიშგართენში 3 ივნისს თბილისიდან გაემგზავრება, ხოლო უჩა ლობჟანიძე, გურამ კაშია, ვაკო ყაზაიშვილი, ჯანო ანანიძე და მათე ვაწაძე გუნდს ავსტრიაში შეუერთდებიან.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## TV პროგრამა

პარასკევი
29 მაისი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 10.15, 01.50 "პირადი ექიმი" 11.00, 02.30 "სამოთხის ვაშლები" 12.40, 03.30 "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ."**ჩენტო ვეტრინე**" 14.20 "საუკუნის პორტრეტები" 15.00, 21.00 ტ/სერ."**ადვოკატები**" 16.45 "ეკონომეტრი" 16.55 **ფეხბურთი**. 19 წლამდელთა ასაკის ევროპის ჩემპიონატის ელიტ რაუნდი: **საქართველო – ესპანეთი** 18.50 დ/ფ "არქიტექტურა" 19.30 "სიტყვების თამაში" 22.00 პოლიტიკური თოქ-შოუ 00.00 მხ/ფ "**ჩემი ადგილი მზის ქვეშ**"

08.00, 10.10, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 09.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო" 12.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.45 სერ. "**სიცოცხლის სიყვარული**" 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00, ქრონიკა 10.05 სერ. "**კარმა**" 11.20 სერ. "**ივნისის ღამე**" 12.30 დღის შოუ 14.40, 15.55 სერ. "**ორი ბედი**" 17.35 სერ. "**სიცოცხლის საფასური**" 18.45, 19.03 სერ. "**შურისძიება**" 20.55 სერ. "**შავი ვარდი**" 22.00 რეაქცია 00.00 სერ. "**სიყვარულის სეზონი**" 10 სერ. 02.10 მხ/ფ "**რემბო 4**"

06.00, 15.55 სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. "**ბედისწერა**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.55 სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" 16.55 სერ. "**მოჯადოებულები**" 18.55 სერ. "**სტამბოლის ცა**" 19.55 სერ. "**ქარადაი**" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 23.00 ქერის უბანი 23.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 40 (სეზ.7) 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 მუს.პაუზა 06.15 კვირიაკე 07.20 დოკ.ფილ. "დავით გარეჯი" I ნაწ 08.00 დილის ლოცვა 08.10 სახარება 08.20 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დოკ. ფილმი 11.25 კარაბადინი 12.10 პორტრეტები 13.05 მხ/ფ "**არსენას ლექსი**" II ნაწ 13.30 "შუადღე"ერთსულოვნებაზე 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 მულტ. ფილმი ქართული 15.40 კონცერტი 16.20 დოკ.ფილმი "დავით გარეჯი" II ნაწ 17.30 მიწათმოქმედი (რ. შალიბაშვილი ) 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**ჟუჟუნას მზითევი**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები "ნანო კვინიტაძე" 22.00 სიახლენი 22.25 მოგზაურობა სამშობლოში "ხმა უდაბნოში-დავით გარეჯი" **Ш** ნაწ 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 თვენი "ღირსი მამა დავით გარეჯელი" 00.35 კონცერტი 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

**მაესტრო**

7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30, "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია "**ოლივერ ტვისტი**" 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05 **სერიალი "წარსულის ნაიარევი"** 12.30, 18.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.35, 14.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 15.35 გადაცემა "მონიტორი" 16.05, 17.05 **სერიალი "თანაგრძნობა"** 18.30 გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" 19.00 **სერიალი "ქორწინება ანდერძით"** 20.05 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.30 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 1.30 გადაცემა"IZOS-ანალიზი" 1.00 **სერიალი "წარსულის ნაიარევი"**

გჰჯუჰფვტ,ბ
ბ,ტზლტ,ფ ცფფუტყნჯ
ვბყაჯჰფდჰბც4 ყტ,ფჰსდბს

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

29 მაისი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.2905

ევრო — 2.4907

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5244

100 რუსული რუბლი 4.4469

## ამინდის პროგნოზი 29 მაისისთვის






კალეიდოსკოპი

## კირა ნაიტლი დედა გახდა



ბრიტანელი მსახიობი კირა ნაიტლი დედა გახდა. ამ ინფორმაციას მსახიობის გარემოცვასთან დაახლოებული წყარო ავრცელებს. ბავშვის მამა მუსიკოსი ჯეიმს რაიტონია, რომელთანაც ნაიტლიმ 2013 წლის მაისში იქორწინა.

ახალშობილის სქესი უცნობია. მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ მსახიობმა 25 მაისს იმშობიარა.

2014 წლის დეკემბერში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნაიტლი სამი თვის ფეხმძიმე იყო. მიმდინარე წლის თებერვალში მსახიობმა ელენ დეჯენერსის შოუში მონაწილეობისას დაადასტურა, რომ უახლოეს დროში დედობას გეგმავს. მან განაცხადა, რომ მოუთმენლად ელის მშობიარობას, რათა ის შემდეგ სასმელით ხელში აღნიშნოს.

— როდის შევძლებ დალევას? როდესაც შევძლებ, უბრალოდ, მინდა, ეს „მარგარიტა“ იყოს! — განაცხადა მსახიობმა. მან ასევე აღნიშნა, რომ კინოკარიერის დასრულებასა და დიასახლისობას არ აპირებს.

## კენიელი იურისტი ობამას სიძეობას უმიზნებს



კენიელმა იურისტმა ფელიქს კიპრონომ განაცხადა, რომ აპირებს, აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას უფროს ქალიშვილ მალიაზე დაინიშნოს. გამოსასყიდის სახით ის მზად არის, საპატარძლოში გადაიხადოს 70 ცხვარი, 50 ძროხა და 30 თხა.

კიპროონო აპირებს, პირადად სთხოვოს ხელი და გული, ამის გაკეთება კი მიმდინარე წლის ივლისში აქვს დაგეგმილი, როდესაც ობამა კენიას ვიზიტით ეწვევა.

— ხალხმა შეიძლება იფიქროს, რომ მე ოჯახის ფულებზე ვარ დახარბებული, მაგრამ ასე არ არის. — ამტკიცებს კიპრონო.

ის მალით 2008 წელს დაინტერესდა და მას შემდეგ, რაც მისი ერთგულების ფიცი დადო, სხვას აღარავის შეხვედრია.

ის დაქორწინების შემდეგ მეუღლესთან ერთად „ჩვეულებრივი ცხოვრებით“ ცხოვრებას გეგმავს.

— მე მალის ვასწავლი ძროხის მოწველას, სიმინდის ფაფისა და მურსიკის (ტრადიციული კენიური სასმელი) მომზადებას, რომელსაც ნებისმიერი კენიელი ქალი აკეთებს. — ამბობს კიპრონო.

თავად ბარაკ ობამა აშშ-ში დაიბადა, მაგრამ მამამისი წარმოშობით კენიიდან არის.

## ორანგუტანგებმა სელფის გადაღება ისწავლეს

ბრიტანეთის ქალაქ ბლექპულის ზოოპარკში მობინადრე ორანგუტანგების წყვილმა ვიდეოკამერის გამოყენება და სელფის გადაღება ისწავლა.



ცხოველებმა პორტატიული კამერა ორანგსელფის აქციის ფარგლებში მიიღეს, რომლითაც ზოოპარკის დამთვალიერებლებს პრიმატებთან ერთობლივი სურათის გადაღებას სთავაზობენ, მას შემდეგ, რაც კამერა ვოლიერში აღმოჩნდა, ორანგუტანგები სამერი და ჩერი ორი წუთის მანძილზე იღებდნენ ვიდეოს. ჩანაწერზე კარგად ჩანს, რომ ჩერიმ ობიექტივი რამდენჯერმე მიმართა საკუთარი თავისკენ და მის წინ პოზირებდა.

ზოოპარკის თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ კამერის გამორთმევა პრიმატებისთვის მხოლოდ მას შემდეგ მოახერხეს, როდესაც მათ მის სანაცვლოდ ბანანები შესთავაზეს.

— ჩვენთვის საინტერესო იყო, გვედევნებინა თვალი იმისთვის, თუ რა მოხდებოდა, როდესაც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და ჭკვიან პრიმატს კამერას მივცემდით. — ნათქვამია ზოოპარკის ვებგვერდზე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## სევილიამ ევროპის ლიგა და თბილისის საგზური მოიგო

**დნიპრო _ სევილია 2:3**

1:0 კალინიჩი (7), 1:1 კრიშოვიაკი (28), 1:2 ბაკა (31), 2:2 როტანი (44), 2:3 ბაკა (73)

**დნიპრო:** ბოიკო, ფედეცკი, დუგლასი, ჩებერიაჩკო, მატოსი, კანკავა (შახოვი 85), ფედორჩუკი (ბეზუსი 68), მატეუსი, როტანი, კონოპლიანკა, კალინიჩი (სელეზნიოვი 78)

**სევილია:** რიკო, ვიდალი, კარისუ, კოლოძიეჩაკი, ტრემულინა, მბია, კრიშოვიაკი, რეიესი (კოკე 58), ბანეგა (იბორა 87), ვიტოლო, ბაკა (გამეირო 82)

საქართველოს ნაკრების კაპიტანი ჯაბა კანკავა ახლოს იყო ევროპის ლიგის მოგებასთან, მაგრამ მისმა „დნიპრომ“ ფინალური მატჩი დათმო „სევილიასთან“ და ოდენ ვერცხლის მედლებს დასჯერდა. ქართველი ფეხბურთელი კვარცხლბეკზე ეროვნული დროშით ავიდა. ჯაბა პირველი ქართველი ფეხბურთელია, რომელმაც ამ ტურნირის ფინალში ითამაშა.

ევროპის ლიგა „სევილიას“ საყვარელ ტურნირად ყალიბდება — ესპანურმა გუნდმა, 2006 წლიდან მოყოლებული, მეოთხედ მოიგო ტურნირი, თანაც ისე, რომ არც ერთი ფინალი არ წაუგია. აქამდე 3-3-ჯერ ევროპის ლიგა „იუვენტუსს“, „ინტერსა“ და „ლივერპულს“ ჰქონდათ მოგებული.

„სევილია“ ამ მატჩშიც ფავორიტი იყო, მაგრამ „დნიპრომ“ დიდი ბრძოლა გამოუცხადა და ფინალიც სანახაობრივი გამოდგა. უკრაინელებმა სწრაფი გოლი გაიტანეს, მაგრამ „სევილიაც“ მალე გამოფხიზლდა და სწრაფადვე გაუტანა ბოიკოს ორი ბურთი. თითქოს „დნიპრო“ უნდა გატეხილიყო, მაგრამ ტაიმის მიწურულს გათანაბრება მოახერხა.

გაგრძელება მე-9 გვერდზე






იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

— სიდედრი სადაური წარმოშობის სიტყვაა?

— ბერძნული და ქართულად კიბოს ნიშნავს!

●●●

გემის ჩაძირვის შემდეგ გადარჩენილი ქართველი მეორე წელია, უკაცრიელ კუნძულზეა და ხეს ელაპარაკება:

— გეფიცები, ძვირფასო, შენ რომ არ მყავდე, დიდი ხნის გაგიჟებული ვიქნებოდი...

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

— შენი ცოლი პარიზში ნამყოფია?

— არა, აქ ისწავლა.

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

— ახლა ისეთი რამე მითხარი, რომ თან მეწყინოს და თანაც გამიხარდეს.

— ძმაკაცებში ყველას სჯობიხარ.

●●●

ქალი ბოსტანში საქმიანობს. ამ დროს მეზობელი გადმოსძახებს:

— ბოსტანში საფრთხობელას რატომ არ დგამ? ჩიტებს დააფრთხობდა.

— რაღ მინდა, ისედაც სულ აქ არ ვარ?!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კრისტის აუქციონზე ფიროსმანი რუსული მხატვრობის კატეგორიაშია

ეკა ირემაშვილი



პირველ ივნისს ლონდონში დაგეგმილია აუქციონი, სადაც ნიკო ფიროსმანის ცნობილი ტილო „არსენალის მთა ღამით“ უნდა გაიყიდოს. გასული საუკუნის 10-იან წლებში შექმნილი შედევრი რუსული მხატვრობის კატეგორიაშია შეყვანილი. აღნიშნული საკითხი ქართველი ხელოვნებათმცოდნეების პროტესტის მიზეზი გახდა. ისინი სახელმწიფოსგან ადეკვატურ რეაგირებას ითხოვენ.

კატეგორიის შეცვლის მოთხოვნით კულტურის სამინისტრო აუქციონის ორგანიზატორებთან უკვე მუშაობს, თუმცა, დარჩენილი მცირე დროის გამო, ხელოვანები კონკრეტულ შედეგს ნაკლებად ელოდებიან. ფიროსმანის ნახატი, რომელიც ახლა კერძო კოლექციონერის მფლობელობაშია, არაქართულ კატეგორიაში უკვე მესამედ მოხვდა:

— საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ეხმაურება „კრისტის“ სააუქციონო სახლში 1 ივნისს დაგეგმილ აუქციონს, სადაც ნიკო ფიროსმანის ცნობილი ნამუშევრის „არსენალის მთა ღამით“ გაყიდვა იგეგმება. ნახატი რუსული ხელოვნების სექციაშია განთავსებული, თუმცა ლოტის აღწერისას მითითებულია, რომ მისი ავტორი ქართველია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე უკვე ესაუბრა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელ დავით ლორთქიფანიძეს. შედეგად, უახლოეს მომავალში, მუზეუმი დაიწყებს მუშაობას იმ საკითხზე, რომ ქართველი მხატვრებისა და ხელოვანების ნამუშევრები არ მიაკუთვნონ რუსული არტის სექციას და მოხდეს ნამუშევრების იდენტიფიცირება შესაბამის განყოფილებასთან. — ნათქვამია კულტურის სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში.

მუსიკოსი და მომღერალი ნიაზ დიასამიძე ფიროსმანის ტილოს გაყიდვასთან დაკავშირებით თავისი ინიციატივით გამოდის:

— აუქციონზე იყიდება ფიროსმანის ნამუშევარი. ხომ არ იცნობთ

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## ჩვენი კროსვორდი

**შვეულად:** 1. ქართველი მწერალი, რომან „რკინის თეატრის“ ავტორი; 2. ამერიკელთა მეტსახელი ლათინურ ამერიკაში; 3. მე-20 საუკუნის დასაწყისის მოხეტიალე ქართველი მევიოლინე, მომღერალი; 4. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 5. მარცვლეულის ამღები კომბაინის წინა სამკელი ნაწილი; 7. ირანის პარლამენტი; 11. ქუთაისთან დამეგობრებული ფრანგული ქალაქი; 12. საქირაო ეტლი ევროპის ქალაქებში ძველად; 13. ჰოლანდიური ელექტროტექნიკური კომპანია; 14. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 15. ისრაელის კალათბურთელთა გუნდი; 17. ქართველი ფსიქოლოგი, აკადემიკოსი; 19. უკრაინის პარლამენტი.

**თარაზულად:** 5. მუნჯი კინოს აკომპანიატორი პიანისტი ძველად; 6. ფრანგული სიგარეტი; 8. თიხისა და თაბაშირის ნარევის გამოწვით მიღებული სამშენებლო მასალა; 9. ღვინის დანალექი; 10. მორის რაველის ცნობილი საორკესტრო ნაწარმოები; 11. აეროპორტი თელ-ავივში; 13. მცენარეულის მჭამელი ცხოველი; 14. ნეონის ნათურის გამომგონებელი ფრანგი ფიზიკოსი; 16. ყვავილის ცენტრალური ნაწილი; 18. კვირა დღის ქართული სახელწოდება; 20. მსხვილი სოსისი; 21. პეკინის ისტორიული სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

